ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## არეულობა კიევში

გვ.5

სააკაშვილის მომხრეები ოქტომბრის სასახლეში შეიჭრნენ



15 დეკემბრიდან



რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ორშაბათი, 18 დეკემბერი, 2017 №299 (7534) ფასი: 50 თეთრი

# „ოცნებაში“ კლანებმა ერთმანეთის დაჭმა დაიწყეს“



„გეგიძის მიერ ფრაქციის შექმნა ივანიშვილთან შეთანხმებული არ ყოფილა“



რატომ გადაიყვანეს გიორგი ლილუაშვილი სუს-ში

გოჩა მირცხულავა: „კვირიკაშვილმა გაზაფხულამდე თუ შეინარჩუნა თანამდებობა, ის „ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი იქნება“



გვ.2



## „ოცნება“ არ დაიშლება“

მამუკა გამყრელიძე: გვ.4

„ეს გაერთიანება კონკრეტულად ნაცმოძრაობისა და მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ არის შექმნილი“





## რატომ არ საუბრობენ ევროპელი ექსპერტები აფხაზეთში ქართველთა გენოციდზე

გვ.5

ჯემალ გამახარია: „ყველას უნდა გავაგებინოთ, რა მოხდა ცხინვალსა და სოხუმში“

სამართალი გვ.7

გია სოსანაშვილი აცხადებს, რომ პროკურორის პირველი მოადგილე მკვლელობის დამკვეთად ირაკლი ფირცხალავას დასახელებას სთხოვდა





ია მეტრეველი: „არ გაგიკვირდეთ, ჩემს ლიკვიდაციაზეც თუ გაიგებთ“



ხულოში სკოლის მოსწავლე გარდაცვლილი იპოვეს

ეკონომიკა



მამუკა ბახტაძე: „ჩვენი მიზანი სიღარიბის დაძლევაა“

პრეზიდენტის, პრემიერისა და პარლამენტის თავმჯდომარის მაქსიმალური ანაზღაურება 13 ათასი ლარი იქნება გვ.6





„ზამთრის კურორტებზე წელს უცხოელი ტურისტების მხოლოდ 5-6%-იან ზრდას ველოდებით“

ISSN 1987-9385

8 ბრძოლა იერუსალიმის გამო გრძელდება

3 ვახტანგ ძაბირაძე: „ხელისუფლებას რეფორმების გატარება მაინც მოუწევს“

8 მარინ ლე პენი: „ევროკავშირი უნდა დაიშალოს!“

11 ეკა ჩხეიძეს საპატრულოში მუშაობის დაწყება სურს

# „ოცნებაში“ კლანებმა ერთმანეთის დაჭმა დაიწყეს“

შორენა მარსაგიშვილი

**რას ვერ იყოფენ „ქართულ ოცნებაში“, რა ვერ მიიღო გაჩეჩილაძეების კლანმა, რა ელოდება გიორგი კვირიკაშვილს, რატომ გააქტიურდა ღარიბაშვილი, რატომ წაიყვანა ივანიშვილმა სუს-ში თავისი ერთგული კადრი – ლილუაშვილი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა ესაუბრება.**



## გოჩა მირცხულავა: „კვირიკაშვილმა გაზაფხულამდე თუ შეინარჩუნა თანამდებობა, ის „ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი იქნება“

*– პრემიერსა და გია გაჩეჩილაძეს შორის დაპირისპირების დაწყებიდან რამდენიმე დღეში ცნობილი გახდა, რომ „ქართული ოცნების“ ბაზაზე პარლამენტში რამდენიმე ფრაქცია შეიქმნება. ერთ-ერთ მათგანს გაჩეჩილაძის მეგობარი, ბიძინა გეგიძე ჩაუდგება სათავეში. ბევრი ფიქრობს, რომ ეს მმართველი გუნდის დაშლის წინაპირობაა. თქვენ რა შეფასებას გაუკეთებთ ამ პროცესებს?*

– რაც დრო გადის, ერთ რამეში კიდევ უფრო ვრწმუნდები –„ქართული ოცნების“ კონფიგურაცია აგებულია შიშსა და კონიუნქტურაზე. როცა კონიუნქტურაზე ვსაუბრობ ვგულისხმობ, რომ უმეტესობა იქ ნაციონალებისა და სააკაშვილის ზიზღით არის გაერთიანებული. 2012 წელს მათმა უმრავლესობამ ვითარებით და სიტუაციით ისარგებლა.

რაც შეეხება შიშს, ამ ადამიანებს ეშინიათ, არ დაკარგონ ის, რასაც ამ წლებში მიაღწიეს. მათ, ბუნებრივია, ეშინიათ, რომ თუ ხელისუფლება შეიცვლება და მათ მიმართ რევანში განხორციელდება.

„ოცნების“ კონიუნქტურის ფორმირების მომენტი ვლინდება სწორედ ამ ფრაქციების შექმნაში.

ნათელია, რომ საპარლამენტო უმრავლესობა გახლავთ აბსოლუტურად კლანური დაჯგუფებებისგან შექმნილი ერთობა. ზოგიერთი დაჯგუფებას პარლამენტში მყოფი გავლენიანი პირი ქმნის. ასევე არიან გარკვეული ჯგუფების ხელქვეითი პარლამენტარები.

სრულებითაც არ არის გასაკვირი, რომ საგაზაფხულო სესიაზე ახალი ფრაქციები შეიქმნება. ერთ-ერთს გია გაჩეჩილაძის მეგობარი, ბიძინა გეგიძე უხელმძღვანელებს. არც ის არის შემთხვევითი, რომ ეს მაშინ მოხდა, როცა უცნობსა და კვირიკაშვილს შორის დაპირისპირება

## „გეგიძის მიერ ფრაქციის შექმნა ივანიშვილთან შეთანხმებული არ ყოფილა“



წინა პლანზე გამოვიდა.

*– ამ დაპირისპირებაზე რას ფიქრობთ?*

– ჩაწყობილ ტენდერებთან დაკავშირებით გაჩეჩილაძე სრულ სიმართლეს ამბობს. მას ძალიან ბევრი ჩვენი თანამოქალაქე დაუჭერდა მხარს, ის თავის მოქმედებაში მართალი რომ ყოფილიყო.

მან ძალიან კარგად იცოდა, თუ როგორ ჩაგრავდნენ 2012 წლიდან მოყოლებული დღემდე ტენდერებში ცალკეულ პერსონებსა და კომპანიებს. უცნობი ამაზე დუმდა და მხოლოდ მაშინ დაიწყო საუბარი, როცა ეს ყველაფერი თავადაც შეეხო.

ტენდერებს რადგან ვეხები, აქ ერთი რამეც უნდა ვთქვა – დაბალი ფასი ყოველთვის არ ნიშნავს ხარისხს. ეს რომ ასეა, არაერთხელ გამოჩნდა. ხელისუფლებამ, გარკვეული შეხედულებებიდან გამომდინარე, ახლობლებს გაუფორმა ასეთი ტენდერები. შედეგად უხარისხო პროდუქცია და უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები მივიღეთ.

ისევ „ოცნებას“ თუ დავუბრუნდებით, ეს რღვევა დროთა განმავლობაში გაგრძელდება. დაპირისპირება უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, საპარლამენტო უმრავლესობაში არიან ადამიანები, რომლებიც გულისწყრომას გამოთქვამენ იმ გარიგებების გამო, რომლებიც პარლამენტში არსებული ჯგუფების მეშვეობით ხდება. ამ საქმეში პარლამენტს გარეთ მყოფი გავლენიანი პირები და მთავრობის წევრებიც მონაწილეობენ.

გულისწყრომას ისიც იწვევს, რომ ის ხალხი, რომელიც „ოცნების“ სათავეებთან იდგა და ვისაც რაღაც მრწამსი ჰქონდა, თვალნათლივ ხედავს არსებულ რეალობას. პარლამენტის სხდომათა დარბაზში მარჯვნივ თუ გაიხედავენ, დაინახავენ, რომ იქ არაერთი ადამიანი ზის ისეთი, რომლებიც თავის დროზე შეხმატკბილებულად თანამშრომლობდნენ წინა და იმის წინა ხელისუფლებასთან.

უმრავლესობაშიც არაერთი პორტირებული დეპუტატია, რომლებიც პარტიაში მეტი გავლენებით სარგებლობენ, ვიდრე ის ხალხი, ვინც პარტიის შექმნის სათავეებთან იდგა. ამ პარტიას გარკვეული მიმართულება არასდროს ჰქონია, მაგრამ ადამიანები ხედავენ, რომ პარტიის მიზნების რეალიზება ვერცერთი მიმართულებით ვერ ხდება. პარტიული სტრუქტურები გარკვეულ კლანებსა და ამ კლანების მიერ ლობირებულ ადამიანებს აქვთ ოკუპირებული.

*– საპარლამენტო უმრავლესობის ბაზაზე ახალი ფრაქციების შექმნას დავუბრუნდეთ. თქვენი აზრით, ეს ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმების შედეგად მოხდა?*

– უცნობი ნამდვილად არ არის ის პერსონა, რომელიც ბიძინა ივანიშვილს შეუთანხმებდა, თუ რა უნდა გააკეთონ მან და მისმა მეგობრებმა. ბატონი გაჩეჩილაძე ის ადამიანია, რომელიც ლამის ილია ჭავჭავაძეს უტოლებდა თავს.

ყველას გვახსოვს 2009 წელი და მისი გადაცემა საკანი №5. იყვნენ ადამიანები, რომლებიც მას თანამედროვე ილიას უწოდებდნენ იმ გულწრფელი თუ არაგულწრფელი სპექტაკლებისთვის, რომლებსაც ის მართავდა.

მეექვსე წელი დაიწყო, რაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლების სათავეშია და მთელი ამ დროის განმავლობაში უცნობს ერთი აუგიც კი არ დასცდენია ამ ხელისუფლებაზე. „ოცნების“ მიმართ უამრავი პრეტენზია და ბრალდება ისმოდა, ის კი დუმდა, დუმდა მანამ, ვიდრე ეს უსამართლობა მათ არ შეეხო.

ბიძინა გეგიძის მიერ ფრაქციის შექმნა გაჩეჩილაძეს გადაწყვეტილებაა. ის ივანიშვილს არც ფრაქციის შექმნას შეუთანხმებდა. ძმებ გაჩეჩილაძეებსა და ივანიშვილს შორის კონფლიქტიც არსებობს.

*– რა კონფლიქტია მათ შორის?*

– ეს ამბავი საზოგადოების ნაწილისთვის ცნობილია. უცნობის უფროსმა ძმამ, ლევან გაჩეჩილაძემ, მოარული ხმების თანახმად, ვერ შეძლო მთელი რიგი ბიზნესინტერესების დაკმაყოფილება. მას ინტერესები ჰქონდა ენერგეტიკასა და რკინიგზაში. იყო სხვა მიმართულებებიც.

ბიზნესინტერესები ვერ დაიკმაყოფილეს და ამ ოჯახს თანდათანობით აევსო მოთმინების ფიალა. ამის გამოძახილია გეგიძის მიერ საპარლამენტო ფრაქციის შექნა.

ასეთი განაწყენებული პირები დროთა განმავლობაში კიდევ გამოჩნდებიან. ვერ ვიტყვი, რომ ეს „ოცნების“ რღვევის დასაწყისია, მაგრამ იმის წინაპირობას ნამდვილად იძლევა, რომ განაწყენებულებმა გარკვეული ნაბიჯები გადადგან.

*– ამ პროცესებს დაემთხვა ბიძინა ივანიშვილის კადრის, გიორგი ლილუაშვილის პარლამენტიდან სუს-ში გადაყვანა. ამას თქვენ როგორ ხსნით?*

– ლილუაშვილის ამბავი ცალკე განყენებული თემაა. ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ სუს-ი მთელ რიგ მიმართულებებს სათანადოდ ვერ აკონტროლებს. რამდენიმე მიმართულებით შეიქმნა პრობლემა, იქნება ეს ჩატაევის თემა თუ ეკონომიკა.

ჩვენ არაერთი ინფორმაციით ვიცით, რომ სუს-ში პირველი ვიოლინოს როლს თამაშობს ბატონი სოსო გოგაშვილი. როგორც ეტყობა, მის მიმართ საკმაოდ ბევრი უკმაყოფილება დაგროვდა. აქედან გამომდინარე, სუს-ის უფროსი ვახტანგ გომელაური რჩება მარტო. ამ ხნის განმავლობაში ის ეყრდნობოდა გოგაშვილს, რომელიც თავის დროზე იყო ღარიბაშვილის კადრი. სწორედ ყოფილმა პრემიერმა წამოსწია სუს-ის უფროსის მოადგილე წინა პლანზე.

**ჩვენ არაერთი ინფორმაციით ვიცით, რომ სუს-ში პირველი ვიოლინოს როლს თამაშობს ბატონი სოსო გოგაშვილი. როგორც ეტყობა, მის მიმართ საკმაოდ ბევრი უკმაყოფილება დაგროვდა. აქედან გამომდინარე, სუს-ის უფროსი ვახტანგ გომელაური რჩება მარტო. ამ ხნის განმავლობაში ის ეყრდნობოდა გოგაშვილს, რომელიც თავის დროზე იყო ღარიბაშვილის კადრი. სწორედ ყოფილმა პრემიერმა წამოსწია სუს-ის უფროსის მოადგილე წინა პლანზე.**

ღარიბაშვილი ვახსენეთ და გამორიცხულია, ბიძინა ივანიშვილისთვის არ იყოს ცნობილი ამ ადამიანის სურვილებისა და გეგმების შესახებ.

*– რა გეგმებზე საუბრობთ?*

– არავისთვის დამალული არ არის, რომ ქართული მარშის უკან სწორედ ღარიბაშვილი მოიაზრება. ისევ გოგაშვილს დავუბრუნდები და ივანიშვილს მის მიმართ ეჭვები გაუჩნდა. ამის მიუხედავად, არ ცდილობს უხეშად მის მოშორებას, მაგრამ გომელაურისა და სუს-ის პოზიციის გასაძლიერებლად მოახდინა ამ სამსახურში ლილუაშვილის დელეგირება.

გიორგი ლილუაშვილის მიმართ საკმაოდ



## რატომ გადაიყვანეს გიორგი ლილუაშვილი სუს-ში

პოზიტიური დამოკიდებულებაა „ოცნებაში“ და არა მარტო იქ. მას იცნობენ, როგორც საქმიან და კვალიფიციურ ადამიანს.

რამდენად ეფექტური იქნება ის სუს-ში, ვერ გეტყვით. როგორც ამბობენ, ის კარგი მენეჯერია და ფინანსებთან მიმართებით კარგად არის გათვითცნობიერებული. ფინანსები კი „ოცნების“ აქილევსის ქუსლია.

ტენდერები, ეკონომიკის სტაგნაცია, სავალუტო ბაზარზე არსებული ვითარება ბევრ პრობლემას უქმნის ქვეყანას. შესაძლოა ლილუაშვილმა სწორედ ამ მიმართულებით იმუშაოს. უცნობმა თავის ბოლო გამოსვლებში კარტელურ გარიგებებზეც ისაუბრა. ლილუაშვილი ალბათ ამ მიმართულებებითაც დაინტერესდება.

სუს-ის ანტიკორუფციული სამსახური წვრილფეხობების დაკავებაზე გადაერთო. ძირითადად გამგეობისა და მერიის თანამშრომლებს იჭერენ ქრთამის აღებასა და თანხის გამოძალვაზე.

ლილუაშვილი სწორედ ამ მიმართულებებს მიხედავს და გოგაშვილიც ჩანაცვლდება როგორც პერსონალურად, ასევე გავლენებით.

*– ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ ივანიშვილმა „ოცნებაში“ არსებულ კლანებს ბრძოლა გამოუცხადა?*

– ვერ გეტყვით, რომ ივანიშვილმა კლანებს გამოუცხადა ბრძოლა. თავად მან შექმნა ეს კლანები. კლანებთან მისი ბრძოლის ტაქტიკა ასეთია – მათ ერთმანეთი უნდა დააჭამინოს და ამას გვერდიდან უყუროს.

ის მაქსიმალურად შეეცდება, ყველამ საკუთარი სახე მაქსიმალურად გამოავლინოს და ერთმანეთი დაჭამონ. მხოლოდ იმას შეეცდება, რომ ამ დაჭმაში მისი პირადი ინტერესები არ დაზიანდეს. დაზიანდება თუ არა სახელმწიფო ინტერესები, ეს მას არ ადარდებს.

*– გიორგი კვირიკაშვილს რა ბედი ელის? შეიწირავს მის თანამდებობას გია გაჩეჩილაძესთან დაწყებული დაპირისპირება?*

– გიორგი კვირიკაშვილი ბოლო პერიოდამდე მოიაზრებოდა საქართველოს მომავალ პრეზიდენტად. მისი კანდიდატურის დაყენება გუნდში პრაქტიკულად უკვე გადაწყვეტილი საკითხი იყო.

ახლა მასზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს არსებული ვითარებიდან გამოძრომას. ბოლი დროს მედიაში გაჩნდა ინფორმაციები მისი ბიზნესინტერესების შესახებ. ამაში მას მისი მეგობარი გაჩეჩილაძეც ადანაშაულებს.

დაუზუსტებელი ინფორმაციებია სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით, სადაც მას ყურზე ხახვი დააჭრეს – სახელმწიფოსთვის საზიანო შესყიდვები განხორციელდა. ამ თემაზე დაზუსტებული ინფორმაციები არა მაქვს და ამიტომაც კონკრეტული ფაქტების მოყვანისგან თავს შევიკავებ.

სათუოა, კვირიკაშვილმა აქედან გამოძრომა შეძლოს. გაზაფხულამდე თუ მიაღწია, გაზაფხულზე გადადგება და საპრეზიდენტო კამპანიაში ჩაერთვება. ახლა ბევრი რამე პირადად მასზეა დამოკიდებული. გაზაფხულამდე თუ ვერ შეძლებს თანამდებობის შენარჩუნებას, მაშინ სათუო იქნება პრეზიდენტად მისი კანდიდატურის დაყენება.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები: ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნინა კანდელაკი, მზია ქოქიშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. სავტორო უფლებები დაცულია.

# „ხელისუფლებას რეფორმების გატარება მაინც მოუწევს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში წლის პოლიტიკურ პროცესებს აჯამებს.

***– ბატონო ვახტანგ, მიმდინარე წელი პოლიტიკური თვალსაზრისით რით იყო გამორჩეული?***

– პირველ ყოვლისა, მაინც ადგილობრივ არჩევნებს გამოვარჩევდი და იმ მოვლენებს, რომლებსაც დღეს პარტია „ქართულ ოცნებაში“ ვხედავთ. მე ადრე გითხარით, რომ არ არის გამორიცხული, მმართველი პარტია გაიყოს და სწორედ გამოყოფილი ძალა იქცეს ოპოზიციად. დღეს ცოტა განსხვავებულად მიდის პროცესი, საუბარია მხოლოდ რამდენიმე საპარლამენტო ფრაქციის შექმნაზე. თუმცა, მე არ გამოვრიცხავ, რომ პროცესები უფრო ღრმად განვითარდეს და უკვე პარტია „ქართული ოცნების“ გაყოფას საფუძვლად დაედოს ბევრად უფრო კრიტიკული მიზეზი და საუბარი იყოს არა უკვე საპარლამენტო ფრაქციაზე, არამედ ცალკე ოპოზიციურ პარტიაზე, თუმცა ჯერ აქამდე გარკვეული ეტაპია გასავლელი.

შეიძლება ვთქვათ, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისთვის წელს ჩატარებული არჩევნებით გარკვეული ციკლი დასრულდა და ახალ ეტაპზე გადავიდა. მართალია, მომავალ წელს პრეზიდენტის არჩევნებია, მაგრამ არსებულ პოლიტიკურ სისტემაში პრეზიდენტი მაინცდამაინც დიდად მნიშვნელოვან როლს არ ასრულებს ქვეყნის მართვაში.

***– რა გამოკვეთა ამ არჩევნებმა, რომ არსებული ხელისუფლება უალტერნატივოა, თუ, გამარჯვების მიუხედავად, მისი პოზიციები მაინც შეირყა?***

– შედეგებიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ხელისუფლებას სრული კარტბლანში აქვს როგორც ცენტრში, ისე რეგიონებში. ფაქტობრივად, ერთადერთი გამონაკლისი იყო ოზურგეთი, სადაც დამოუკიდებელმა კანდიდატმა გაიმარჯვა. რაც შეეხება მეჭიაურის ერთი ხმით გამარჯვებას, მე ვფიქრობ, მეჭიაური და „ოცნება“ მაინც ერთია.

ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, გაიმეორა ის შედეგი, რომელიც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დადო. ოპოზიციამ ამჯერადაც სრული ფიასკო განიცადა. კარგი იქნება, თუ დაფიქრდებიან და გარკვეულ ანალიზს გააკეთებენ, ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბა. გარკვეული გამოცდილება დაგვიგროვდა, რომ მივხვდეთ, არჩევნები გაყალბდა თუ არ გაყალბდა. დარღვევები იყო, მაგრამ მოსახლეობის განწყობები ამ დარღვევებს არ შეუცვლია. თუ ოპოზიციის მთავარი გზავნილი კვლავ იქნება, რომ არჩევნები გაყალბდა და ამიტომ არის ეს ვითარება, მაშინ ის ძალიან ცუდად დაამთავრებს. ის ვერ დაიწყებს რეალური მიზეზების ძიებას, თუ რა ხდება მის თავს და შემდეგ საპარლამენტო არჩევნებზეც იმავე ფიასკოთი დაამთავრებს ეს ოპოზიცია.

***– რა არის ოპოზიციის დემორალიზების მიზეზი?***

– 2012 წლის არჩევნების შემდეგ მოხდა ქართული პოლიტიკური რეალობისთვის უჩვეულო რამ, ყოფილი სახელისუფლებო პარტია არ გაქრა ხელისუფლებასთან ერთად.

***– ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკაში დარჩა.***

– დიახ, დარჩა და მეტიც, ყოფილი სახელისუფლებო პარტია ამჯერად ახალმა ხელისუფლებამ კარგად გამოიყენა. თუ გახსოვთ, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში თითქოსდა მობრუნების საფრთხე როგორ გამოიყენა „ქართულმა ოცნებამ“. მეორე, ოპოზიციის ნაწილი მიემხრო ნაციონალურ მოძრაობას და მეორე ნაწილმა, რომელიც „ქართული ოცნების“ კოალიციაში იყო, დროულად ვერ გადადგა ნაბიჯი და გარკვეული შეცდომებიც დაუშვა. ერთადერთი ოპოზიციური ძალა, რომელმაც წარმატებას მიაღწია, 5%-იანი საარჩევნო ბარიერი გადალახა და პარლამენტში შევიდა, „პატრიოტთა ალიანსი“ იყო. ამ წარმატების მიზეზი კი იყო სწორი პიარი. მისი სამიზნე იყო არა „ქართული ოცნება“, არამედ ნაციონალური მოძრაობა.

***– ბატონო ვახტანგ, სააკაშვილის ირგვლივ განვითარებულ მოვლენას არ თვლით წლის პოლიტიკურ მოვლენად თუ ეს უფრო უკრაინული მოვლენაა?***

– ეს უფრო უკრაინული მოვლენაა, რომელსაც, რასაკვირველია, საქართველოში რეზონანსი მოჰყვა გასაგები მიზეზების გამო. თუ სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირება მოხდება, მაშინ ეს, რა თქმა უნდა, გარკვეულ პოლიტიკურ პროცესებს მისცემს საფუძველს. ის, რომ სააკაშვილის უკრაინული ეპოპეა საქართველოში არსებულ განწყობებს რეალურად შეცვლის, ასე არ არის. თუ შეცვლის – ისევ და ისევ ნაციონალების საწინააღმდეგოდ.

***– ექსტრადირების შემთხვევაში?***

– გააჩნია, რას მოიმოქმედებს ხელისუფლება. თუ ხელისუფლება მშვიდად იქნება და სიტუაციას რეალურად შეაფასებს, მაშინ ექსტრადირება არანაირ პრობლემას ხელისუფლებას არ შეუქმნის. ერთადერთი პრობლემა, რაც შეიძლება დადგეს, იქნება ის, რომ ნაციონალური მოძრაობა გააქტიურდება, რაც ასევე გამოიწვევს სხვა ძალების გააქტიურებას, ცხადია, ანტინაციონალური ძალები იგულისხმება. ამ შემთხვევაში ხელისუფლება უნდა იყოს ფრთხილად, რომ ამ ძალებს შორის შეჯახება არ მოხდეს და ეს დიდი პროცესში არ გადაიზარდოს, ამ ყველაფერმა სამოქალაქო დაპირისპირების სახე არ მიიღოს. 2003 წლის ნოემბრის მოვლენების დროს, თუ გახსოვთ, აბაშიძის მომხრეები რომ ჩამოიყვანეს რუსთაველზე, დაახლოებით მსგავსი დაპირისპირების სცენარს ვგულისხმობ. ეს რომ არ მოხდეს, მაშინ პროცესები, მართალია, არ გამწვავებულა, მაგრამ ამჯერად, არ არის გამორიცხული, ეს უფრო რთული პროცესი იყოს. ამჯერად, ბევრი საერთაშორისო ფაქტორის გათვალისწინებით, არ ვარ დარწმუნებული, რომ გარე ძალები მშვიდად იქნებიან და არ დაიწყებენ პროცესების პროვოცირებას. ეს საფრთხე რეალურია და ეს კარგად უნდა გაიაზროს ხელისუფლებამ. თუ საქართველოს ხელისუფლება ისეთივე შეცდომებს დაუშვებს, როგორსაც უკრაინის, ეს შეცდომებიც კი არ არის, მაშინ პროცესები ძალიან ცუდად წავა და ძალიან მძიმე დაპირისპირებას მივიღებთ.

***– „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისთვის, მისი პოლიტიკისთვის წარმატებული წელი იყო?***

– პოლიტიკურად, შედეგის მიხედვით თუ ვიტყვით, წარმატებული იყო, მაგრამ რეალურად



ალბათ არ იყო, რადგან ხელისუფლებას მძიმე პერიოდი უდგას. ეს სურათი შეიძლება კიდევ უფრო გამწვავდეს.

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლებამ გუნდი კი შეცვალა, მაგრამ პოლიტიკა იგივე დატოვა, ვერ შეცვალა. ვერ მისცა მას სწორი მიმართულება, გნებავთ, ეკონომიკური, გნებავთ, პოლიტიკური, სოციალური კუთხით. ძალიან რთული ვითარებაა ამ მიმართულებით.

ყველაზე მნიშვნელოვანი რაც შეიძლებოდა, ხელისუფლებას გაეკეთებინა, ეს იყო კონსტიტუციის რეფორმა. ხელისუფლებას კონსტიტუციის ახალი რედაქცია შეიძლებოდა ახალი სახელმწიფოს მშენებლობის საფუძვლად ექცია, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პროცესიც, ტრადიციულად, როგორც წესი, ისე გაგრძელდა.

მიუხედავად ყველაფრისა, ხელისუფლებას მოუწევს რეალური რეფორმების გატარება და არა მხოლოდ საკადრო რეფორმას ვგულისხმობ, არამედ, რაც მთავარია, მოუწევს შეცვალოს საშინაო პოლიტიკა.

## გიორგი კანდელაკი: „ევროპარლამენტართა ნაწილი მოუწოდებს მთავრობას, გაათავისუფლოს ვანო მერაბიშვილი“

ევროპარლამენტის 9 წევრმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილსა და მთავრობის წევრებს ღია წერილით მიმართა, სადაც ევროსასამართლოს გადაწყვეტილების პატივისცემისა და შს ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის გათავისუფლებისკენ მოუწოდეს.



ამასთან დაკავშირებით საგანგებო ბრიფინგი გამართა „ევროპული საქართველოს“ წევრმა გიორგი კანდელაკმა. მან იმედი გამოთქვა, რომ მთავრობა ევროპარლამენტართა მიმართვას არ დააიგნორებს.

– ევროპარლამენტის წევრთა ეს ჯგუფი წლების განმავლობაში იყო და არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და ევროკავშირში გაწევრიანების ძალიან აქტიური მხარდამჭერი. ეს წერილი ეხმაურება ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებას ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ვანო მერაბიშვილის საქმეზე. წერილის ხელმომწერები მიმართავენ მთავრობას, პატივი სცეს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებას, რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა ვანო მერაბიშვილის მიმართ და პირდაპირ მოუწოდებენ, ამის გათვალისწინებით, პირდაპირ გათავისუფლდეს პატიმრობიდან ვანო მერაბიშვილი, რადგან დღევანდელი გამოწვევებით სავსე უსაფრთხოების გარემოში ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ინტერესია, ყველა პოლიტიკურმა ძალამ იფიქროს მომავალზე და არა წარსულზე.

ასევე ამ წერილში არის მოწოდება მთავრობის, პირადად პრემიერ-მინისტრის მიმართ, რომ პრემიერ-მინისტრი და მინისტრები არ უნდა არიდებდნენ თავს საპარლამენტო კონტროლს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეგულარულად უნდა მიდიოდნენ პარლამენტში, რასაც ისინი, სამწუხაროდ, თავს არიდებენ.

წერილში ასევე საუბარია მედიაპლურალიზმის შენარჩუნების აუცილებლობაზე და წერილის ავტორები ამბობენ, რომ ყურადღებით აკვირდებიან „რუსთავი 2“-ის გარშემო მიმდინარე პროცესს.

ძალიან მნიშვნელოვანია, ვინ აწერს ხელს ამ წერილს. როგორც აღმოჩნდა, ესაა ევროპარლამენტის მნიშვნელოვანი გავლენის მქონე წევრები, წერილის ინიციატორია ლიტვიდან ლიბერალი ევროპარლამენტარი პეტრას აუშტრევიჩუსი, რომელიც არის წამყვანი პოლიტიკოსი აღმოსავლეთი ევროპის საკითხებზე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, წერილს ხელს აწერს დევიდ მაკალისტერი, რომელიც არის ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე და თავისი გავლენითა და მნიშვნელობით ალბათ ევროპარლამენტის ყველაზე მნიშვნელოვანი წევრია.

ჩვენ, „ევროპულ საქართველოს“, დიდი იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მთავრობა პატივისცემით მოეპყრობა ესოდენ მაღალი რანგის დოკუმენტსა და განცხადებას და, წარსული შემთხვევებისგან განსხვავებით, არ მოახდენს თავდასხმას და ამ განცხადების მნიშვნელობის შემცირებას, – განაცხადა კანდელაკმა.

**მედიანიუსი**

## ეკა ბესელია: „გადაწყვეტილება მომწიფდა, რომ უმრავლესობის შიგნით შეიქმნას კიდევ ორი ფრაქცია“

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ეკა ბესელია მიიჩნევს, რომ უმრავლესობის შიგნით ორი ახალი ფრაქციის შექმნა აუცილებელი იყო.

როგორც ეკა ბესელიამ ჟურნალისტებს განუცხადა, ისეთ დიდ ფრაქციაში, როგორიცაა „ქართული ოცნება“ რთული იყო ყველა დეპუტატს ჰქონოდა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მიღება. ბესელიას შეფასებით, პატარა ფრაქციებში დეპუტატებს, უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებათ, რომ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ პროცესებში.

– ეს გადაწყვეტილება მომწიფდა, რომ უმრავლესობის შიგნით შეიქმნას დამატებით კიდევ ორი ფრაქცია. მე ვფიქრობ, ეს დროული გადაწყვეტილებაა, ვინაიდან მთავარი ფრაქცია „ქართული ოცნების“ არის პრაქტიკულად ტოლფასი უმრავლესობის. რაოდენობრივად ის ძალიან დიდია, ამიტომ მართვის თვალსაზრისით და მათ შორის პოლიტიკურ პროცესებში ყველა წევრისთვის უფრო მეტი შესაძლებლობის მიცემისთვის და მეტად ჩართვისთვის, მე ვფიქრობ, გაცილებით უფრო მოქნილი იქნება კიდევ დამატებით ორი ახალი ფრაქციის შექმნა.



ეს შესაძლებლობას მისცემს, ისეთ დიდ ფრაქციას, როგორიც დღეს „ქართული ოცნებაა“ მოხდეს, როგორც პოლიტიკურ პროცესებში დეპუტატებისთვის უფრო მეტი ჩართვის შესაძლებლობის შექმნა, ასევე მართვის თვალსაზრისით გაცილებით უფრო მოქნილი პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენება. ამიტომ მე მგონია, ეს არის დროული და კარგი გადაწყვეტილება. ძალიან რთულია ასეთი დიდი ფრაქციის ისე მართვა, ისე რომ ყველას ჰქონდეს პოლიტიკურ პროცესში თანაბარი მონაწილეობის საშუალება, – განაცხადა ბესელიამ.

რაც შეეხება ახალი ფრაქციის წევრებს, ბესელიას თქმით, მათი ვინაობა საზოგადოებისთვის უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

– დაწყებულია სამუშაო პროცესი, თუ ვინ როგორ გადანაწილდება და ეს უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის თქმით, ორი ახალი ფრაქციის შექმნის ინიციატორი პოლიტიკური გუნდია. ამასთან, ბესელიამ აღნიშნა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებამდე კონსულტაციები პრემიერ-მინისტრთანაც გაიმართება.

– პრემიერთან შესაძლოა ცალკეული საუბრები იყო, მაგრამ საბოლოო კონსულტაციები არ ყოფილა. რა თქმა უნდა, შეთანხმდება მასთან ეს ყველაფერი, ვინაიდან ის მმართველი პარტიის თავმჯდომარეა. ასეთი პოლიტიკური გადაწყვეტილებები პრემიერთან შეთანხმების გარეშე, ბუნებრივია, არ მიიღება, – განაცხადა დეპუტატმა და აქვე დასძინა, რომ ის მთავარ ფრაქციაში რჩება.

**ინტერპრესნიუსი**

## ბექა ნაცვლიშვილი: „ფრაქციის შექმნას არ ვაპირებ. ეს მტკნარი სიცრუეა“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ბექა ნაცვლიშვილმა უარყო ინფორმაცია, რომ ის ახალი ფრაქციის შექმნას აპირებს.

დეპუტატის შეფასებით, ესაა ტყუილი და ამ თემაზე სპეკულაციები უნდა დასრულდეს.

– რაც შეეხება ჩემ მიერ ფრაქციის შექმნასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას, ამაზე შემიძლია ცალსახად განვაცხადო, რომ არის ტყუილი, მტკნარი სიცრუე. „სოციალ-დემოკრატებს“ გვაქვს ჩვენი ფრაქცია. ეს არის ფრაქცია „ქართული ოცნება – სოციალ-დემოკრატები“. აქედან გამომდინარე, ამაზე ნებისმიერი სპეკულაცია უნდა დასრულდეს, – თქვა ნაცვლიშვილმა.




ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძის განცხადებით, უმრავლესობის შიგნით 2 ახალი ფრაქცია იქმნება, რომელიც წარდგენილი იქნება პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე. ამ გადაჯგუფების შედეგად უმრავლესობის რიგებში 8 ფრაქცია ჩამოყალიბდება.

სავარაუდოდ, ერთ-ერთი ფრაქციის ხელმძღვანელი ბიძინა გეგიძე იქნება, ხოლო მეორე ფრაქციის თავმჯდომარე გოჩა ენუქიძე გახდება.

**მედიანიუსი**

# „ოცნება“ არ დაიშლება“

## მამუკა გამყრელიძე: „ეს გაერთიანება კონკრეტულად ნაცმოძრაობისა და მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ არის შექმნილი“

ნონა ცაბაძე



ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე აფასებს.

***— ბატონო მამუკა, პარლამენტში „ქართული ოცნების“ ფრაქცია იშლება. უმრავლესობის წევრები აკეთებენ განცხადებას, რომ „ოცნებას“ ორი ფრაქცია გამოეყოფა. რა ხდება, დაპირისპირებაა უმრავლესობაში? ბევრმა ეს ყველაფერი უცნობისა და პრემიერის დაპირისპირებას დაუკავშირა. რას იტყვით თქვენ?***

— მე განსაკუთრებულ და სერიოზულ მნიშვნელობას არ მივანიჭებდი ამას, რომ იშლებიან. არ იშლებიან და არ დაიშლებიან კიდევ ძალიან დიდხანს. ის რომ ეს ერთგვაროვანი ჯგუფი არ არის და ხელოვნურად შექმნილი გაერთიანებაა, ამაში ეჭვი არავის ეპარება. ეს გაერთიანება კონკრეტულად ნაცმოძრაობისა და მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ არის შექმნილი.

***— შეასრულა „ოცნებამ“ თავის როლი?***

— მათ თავიანთი როლი, რომელსაც ხელისუფლების ჩანაცვლება და ნაციონალური მოძრაობის სერიოზული დასუსტება ჰქვია, წარმატებით შეასრულეს, მეტიც, პოლიტიკური ველი ძალიან დაასუსტეს. რეალურად მათ ოპოზიცია, პრინციპში, არ ჰყავთ. ჩემი აზრით, თუ მოხდება სააკაშვილის ექსტრადირება ახალ წლებამდე ან თუნდაც ნაახალწლევს, ეს ის პერიოდია, როდესაც ძალიან მკვდარია სიტუაცია. არავინ გამოვა ქუჩაში მის დასაცავად და არც რეალური პროტესტი არ იქნება.

***— უშვებთ, რომ შესაძლოა მოხდეს სააკაშვილის ექსტრადირება?***

— მე არ გამოვრიცხავ. თუ ეს მოხდა, მაშინ ნაციონალური მოძრაობის მხრიდან იქნება ძალიან სუსტი რეაგირება და საზოგადოების მხრიდანაც არ იქნება ის რეაგირება, რომ, არიქა, გამოვა ხალხი ქუჩაში, არ იქნება ის, რაც იყო წინა ხელისუფლების დროს, ქუჩებს კეტავდნენ და ასე შემდეგ. ასეთი არაფერი არ მოხდება. შესაბამისად, ეს კიდევ უფრო მძიმე დარტყმას მიაყენებს ნაციონალურ მოძრაობას.

***— და გააძლიერებს „ოცნებას“?***

— დიახ, გააძლიერებს „ოცნებას“. ამ შემთხვევაში, ნახეთ, რა ხდება? პოლიტიკურ ველზე „ქართულ ოცნებას“ არანაირი კონკურენტი არ ჰყავს. გამოდის, რომ ოპონენტი არ არსებობს. ასეთ პირობებში, როდესაც ასეთი გადაქაჩვაა ცალ მხარეს და არანაირი ბალანსი აღარ არსებობს, იწყება ხოლმე შიდა ტური. მტრის ხატი აღარ არსებობს. რაც არ უნდა იძახონ, არიქა, ნაციონალური მოძრაობა და, არიქა, მიხეილ სააკაშვილი, აღარ გამოდგება.

***— ამიტომ თავადვე შიგნით იქმნიან ოპოზიციას?***

— ჩემი აზრით, ეს ასე იქნება, რომ ის, რაც ვერ გააკეთა ნაციონალურმა მოძრაობამ თავის დროზე და ეს იყო იმ ორი უდიდესი შეცდომიდან და მავნებლობიდან, რომ მათ ვერ მოახერხეს პროდასავლური, ძლიერი ოპოზიციის შექმნა საკუთარ წიაღში და მისი გამოყოფა, ისევე, როგორც ამერიკელებმა მოახერხეს თავის დროზე გაყოფა დემოკრატებად და რესპუბლიკელებად. ამათ ვერ მოახერხეს. ეს იყო უდიდესი შეცდომა და უდიდესი დანაშაული სახელმწიფოს წინაშე. ეს უნდა ვაღიაროთ.

***— რა იყო ნაციონალების მეორე შეცდომა?***

— მეორე იყო ის, რომ სასამართლო სისტემა რეალურად არ არსებობდა და იყო დაკვეთები. ამ ორმა საკითხმა განაპირობა ის, რომ ეს ამორფული ორგანიზაცია, რომელსაც „ოცნების“ ხელისუფლება ჰქვია, საზოგადოებისთვის მისაღები გახდა. „ოცნება“ ჭკვიანურ პოლიტიკას ახორციელებს. ჩემი აზრით, მოხდება შიდა ოპოზიციის ჩამოყალიბება. დაიწყებენ შიგნით ძიძგილაობას და რაღაცა დროის განმავლობაში მოახერხებენ ყურადღების გადატანას.

***— უცნობის ხმამაღალ განცხადებებსა და მის დაპირისპირებაზე პრემიერთან რას ფიქრობთ? ესეც თამაში გგონიათ?***

— მთელი ამ წლების პოლიტიკური გამოცდილება არ მაფიქრებინებს, რომ სერიოზულ დაპირისპირებასთან გვაქვს საქმე.

***— მაშინ რა ხდება?***

— მე რამდენადაც ვიცი, ჩემი ინფორმაციით, მართლა ასე ყოფილა, კვირიკაშვილი მართლაც შეჰპირებია წარმატებული ტენდერის მოგებას გაჩეჩილაძეებს და შემდეგ მოხდა გადაგდება. როგორც ამბობენ, თავის დროზე სერიოზული თანხები ჩადეს გაჩეჩილაძეებმა საგარანტიოდ. ეს საკმაოდ სერიოზული თანხაა ამ ოჯახისთვის. ცხადია, ამას არ შეარჩენს არავინ. სწორედ ამიტომ დაიწყო ეს პოლიტიკური ხმაური ამ სიტუაციის გარშემო. მეორე ამბავია, რომ ამას კვირიკაშვილი დაუპირისპირდება, თუ მოაგვარებენ და მოაკვარახჭინებენ შიდა არხებით. ალბათ სხვა მხრივ დააკმაყოფილებენ გაჩეჩილაძეებს, რომ აღარ იხმაურონ. მოკლედ, ამ საკითხის ირგვლივ სერიოზულ დაპირისპირებას არ ველოდები. ეს არის სუფთა ფულის გაყოფის გამო დაწყებული გაუგებრობა.

***— სწორედ ამიტომ ქმნიან ახალ ფრაქციას უცნობის მეგობრები, იგივე ბიძინა გეგიძე და დანარჩენებიო. თუ ეს უბრალო დამთხვევაა?***

— მე ამ სიტუაციას არ განვიხილავ სერიოზულ პოლიტიკურ მოძრაობად. ეს პოლიტიკური თამაშებია, შიდა წიაღსვლები, უფრო „ინტრიგანული“ მომენტები. აქ სერიოზული პოლიტიკური დაპირისპირება არ არის და ვერც იქნება რაღაც პერიოდი, რადგან ოპოზიციურ ველზე სერიოზული ძალა აღარ არსებობს.

***— იმის თქმა გინდათ, რომ ეს პროცესებიც ბიძინა ივანიშვილის სცენარით ვითარდება?***

— არ გამოვრიცხავ, ასე იყოს. შესაძლოა მცირე დაპირისპირებებიც იყო, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ეს არის დაფინანსების მიღების ახალი წყარო. მოგეხსენებათ, როდესაც ფრაქციებად იყოფიან, ეს ფრაქციები ცალკე თავიანთ დაფინანსებას იღებენ. ამიტომ ამ პროცესს სერიოზულად არ განვიხილავ. მე გაცილებით უფრო საინტერესო პროცესად მიმაჩნია სააკაშვილის ის ჰიპოტეტიური ჩამოყვანა და მისი დაკავება. ახლა ერთ რაღაცას გეტყვით და შესაძლოა ამის გამო ნაციონალების მომხრეებმა თავი გამიხეთქონ.

***— რატომ, ასეთი რა უნდა თქვათ?***

— მოგახსენებთ. ჩემი აზრით, მოხდება ერთგვარი დისტანცირება სააკაშვილსა და ნაცმოძრაობას შორის, იმიტომ რომ, რასაც მე ვუყურებ, არც სააკაშვილს აწყობს ასეთი ნაციონალური მოძრაობა და არც ნაციონალურ მოძრაობას აღარ სჭირდება ასეთი ლიდერი. ის თავისთვის არის უკრაინაში და გაცილებით დიდ პოლიტიკას ეჭიდება, ესენი — თავისთვის. რომც ჩამოიყვანონ, ასე მოხდება.

***— ფიქრობთ, რომ ჩამოიყვანენ სააკაშვილს საქართველოში?***

— შესაძლოა მოხდეს მისი ექსტრადირება. მართალია, ეს იდიოტური სვლა იქნება პოროშენკოს მხრიდან, თუმცა პოროშენკომ იმდენი იდიოტური სვლა გააკეთა, რომ არც ამას გამოვრიცხავ. თუ ჩამოიყვანენ საქართველოში, ეს იქნება ნაციონალური მოძრაობის დასამარების დასაწყისი. ისინი ვერ მოახდენენ ხალხის მობილიზებას. მათ არ აქვთ ამის ფინანსური რესურსი და ფინანსური რესურსის გარეშე დღეს ჩვენს საზოგადოებაში ამის გაკეთება შეუძლებელია, რადგან დღეს საზოგადოების უმრავლესობა არსებული სიტუაციით კმაყოფილია.

***— ნაცმოძრაობა სააკაშვილის დასახმარებლად ხელმოწერებს აგროვებს.***

— აგროვონ და იყვნენ, რა შეიცვლება ამით? მერაბიშვილის საქმეზეც ვნახეთ, რა გადაწყვეტილება გამოვიდა და რა მერე? შეიცვალა რამე?! კარგი, მერაბიშვილი დამნაშავეა, ახალაიებიც, მაგრამ ირაკლი ჩხვირკია გიზის ციხეში, რომელიც უდანაშაულოა! და შენ იმის მაგივრად, რომ სიტუაცია ასწიო, ხალხი გამოიყვანო და ასე შემდეგ, პირიქით, დისტანცირებას აკეთებს პარტია, არ გვინდა ირაკლი ჩხვირკიაო. ამ დროს ეს ადამიანი სულ ტყუილუბრალოდ ზის. რას ედავებიან, თვითონაც არ იციან. ხალხიც ყურს არ იბერტყავს, დაიღალნენ, არ აინტერესებთ.

***— ფიქრობთ, რომ ასე იქნება სააკაშვილთან დაკავშირებითაც?***

— იქნება ანალოგიური სიტუაცია. შესაძლოა თავიდან გამოვარდეს ის ჯგუფი, სააკაშვილის სექტას რომ ეძახიან, მაგრამ ეს არაფერს შეცვლის. ეს არ იქნება პერმანენტული, ეს არ იქნება მუდმივი. ამას ყველაფერს სჭირდება სერიოზული პოლიტიკური მხარდაჭერა პოლიტიკური პარტიის მხრიდან, ასევე ფინანსები, რაც არ იქნება. ჩემი პროგნოზი ასეთია: თუ მოხდა სააკაშვილის ჩამოყვანა, ეს იქნება ნაციონალური მოძრაობის საბოლოო დასასრულის დასაწყისი, რაც ძალიან ცუდია, ერთი მხრივ.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ რაღაც მცირე საპირწონეც აღარ ეყოლება „ქართულ ოცნებას“. მეორე მხრივ, შესაძლოა, ძალიან კარგიც კი იყოს და გეტყვით, რატომ. თუ პოლიტიკური ველი, ძველი სახეები, პარტიები ჩაირეცხებიან ერთხელ და სამუდამოდ, ეს ძალიან კარგი იქნება, რადგან ამას აუცილებლად მოჰყვება რაღაც გადახალისება. შეიქმნება ახალი პოლიტიკური ჯგუფები და ეს ჯგუფები სრულიად ახალ პოლიტიკურ პროცესს წამოიწყებენ. ამ ფონზე „ქართული ოცნებაც“ დაიშლება. დარწმუნებული ვარ, 2020 წლისთვის ჩვენ სრულიად სხვა პოლიტიკურ განლაგებას მივიღებთ, თუ ეს პოლიტიკური კლასი ჩაირეცხება! ეროვნული მოძრაობიდან დაწყებული, სულ მუდმივად რომ პოლიტიკურ სცენაზე არიან, ესენი უნდა წავიდნენ, დამთავრდნენ! მოაბეზრეს ხალხს თავი. აღარ უნდათ.

***— ანუ უნდა გადახალისდეს პოლიტიკური ველი?***

— დიახ, უნდა გაიმარგლოს პოლიტიკური ველი! ყველა სარეველა უნდა ამოიძირკვოს, ძველი, გადაბერებული ხეები უნდა გაიჩეხოს, გასუფთავდეს და ახლა ველზე ახლის აღმოცენება უნდა მოხდეს. სწორედ ამ პროცესის დამაჩქარებელი იქნება მიხეილ სააკაშვილის ჩამოყვანა აქ. იმასაც გეტყვით, რომ მის დიდხანს ციხეში გაჩერებას ვერ შეძლებენ, რადგან სრულიად იდიოტური ბრალდებები აქვს. თუმცა სააკაშვილის გეგმები საქართველოს აღარ უკავშირდება. ის უკრაინაში დაბრუნდება, რადგან მიშა ჩამოყალიბდა უკრაინელ პოლიტიკოსად. მგონია, რომ ძალიან საინტერესო პროცესები გველოდება.

# მთავრობის განახლებული შემადგენლობა პარლამენტს წარედგინება

მთავრობის განახლებული შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა პარლამენტს დღეს, 18 დეკემბერს წარედგინება და ბიუროს სხდომაზე გავა.

მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების საკითხს ოფიციალურად პრეზიდენტი წარადგენს. თავის მხრივ, პარლამენტს განხილვის 7-დღიანი ვადა აქვს.

მთავრობაში განხორციელებული სტრუქტურული და საკადრო ცვლილებების შედეგად, მთავრობის შემადგენლობა ერთი მესამედზე მეტი წევრით განახლდა, რის გამოც დღის წესრიგში მთავრობისა და სამთავრობო პროგრამისათვის ხელახალი ნდობის



გამოცხადების საკითხი დადგა.

კერძოდ, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით შეიცვალა შინაგან საქმეთა მინისტრი და ეს თანამდებობა გიორგი გახარიამ დაიკავა.

გაუქმდა ენერგეტიკის სამინისტრო. ენერგეტიკის სფერო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფარგლებში გადავიდა, რომელსაც სამთავრობო ცვლილებების გათვალისწინებით, დიმიტრი ქუმსიშვილი უხელმძღვანელებს. ასევე, აღნიშნული უწყების ხელში გადავიდა ბუნებრივი რესურსების მართვის კომპონენტი.

გაუქმდა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო. მთავრობაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებებით, სპორტის მიმართულება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადაეცა, ხოლო



ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულება — განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომლის ხელმძღვანელად მიხეილ ჩხენკელი დაინიშნა.

ანალოგიური ცვლილებები განხორციელდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიმართულებით. გარემოსა და სოფლის მეურნეობის გაერთიანებული სამინისტროს ხელმძღვანელი ლევან დავითაშვილი გახდა.

გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, გაუქმდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

15 დეკემბრიდან ძალაშია მთავრობის სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ მიღებული კანონები.

**ინტერპრესნიუსი**



# ირაკლი კობახიძე: „უმრავლესობაში ორი დამატებითი ფრაქცია წლის ბოლომდე შეიქმნება“

— უმრავლესობაში ორი დამატებითი ფრაქცია წლის ბოლომდე შეიქმნება. მოვისმინეთ სპეკულაციები, რომლებსაც არავითარი საფუძველი არ აქვს, — ასე ეხმაურება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე უმრავლესობაში დამატებითი ფრაქციების შექმნას.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ადასტურებს, რომ უმრავლესობაში დამატებით ორი ფრაქციის შექმნის შესახებ კონსულტაციები ჯერ კიდევ საშემოდგომო სესიის დროს დაიწყო.

ირაკლი კობახიძის განცხადებით, აღნიშნული უმრავლესობაში მენეჯმენტის რაციონალიზაციას ემსახურება.

— ჩვენ მოვისმინეთ გარკვეული სპეკულაციები ამ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა შემიძლია გითხრათ, დაგიდასტუროთ, რომ ამ საკითხზე კონსულტაციები დაიწყო ჯერ კიდევ საშემოდგომო სესიის დროს. ჩვენ ვსაუბრობდით ორი დამატებითი ფრაქციის შექმნაზე იმისათვის, რომ უფრო მარტივად განხორციელდეს მენეჯმენტი უმრავლესობის შიგნით. ეს ემსახურება მენეჯმენტის რაციონალიზაციას უმრავლესობაში და ამ მიზნით საუბარია დამატებით ფრაქციების შექმნაზე. მოვისმინეთ სპეკულაციები, რომლებსაც არ აქვთ არავითარი საფუძველი, ეს შემიძლია ძალიან თამამად გითხრათ, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

მისივე განმარტებით, ფრაქციები წლის ბოლომდე შეიქმნება.

— ამას არ სჭირდება პლენარული სხდომა, ესაჭიროება ბიუროს სხდომაზე დამტკიცება, შესაბამისად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ წლის ბოლომდე უკვე შეიქმნება ორი დამატებითი ფრაქცია საპარლამენტო უმრავლესობაში. კონსულტაციები უკვე შემდგარია, მიღებული გვაქვს პრინციპული გადაწყვეტილება ფრაქციების შექმნასთან დაკავშირებით, შემადგენლობასთან, ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით და ამის საფუძველზე მიიღება უკვე საბოლოო გადაწყვეტილება პარლამენტის ბიუროს მიერ, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

აღნიშნულ ინფორმაციას პარლამენტის პრესსამსახური ავრცელებს.

**ინტერპრესნიუსი**

# არეულობა კიევში

## სააკაშვილის მომხრეები ოქტომბრის სასახლეში შეიჭრნენ





შორენა მარსაგიშვილი

სამდღიანი პატიმრობიდან გათავისუფლებულმა მიხეილ სააკაშვილმა კიევში მორიგი ხმაურიანი ღონისძიება გამართა. პოროშენკოს საიმპიჩმენტო მარში მას 10 დეკემბერს უნდა გაემართა, მაგრამ იმ დღეს ჯერ კიდევ უშიშროების იზოლატორში იჯდა.

უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს სახალხო იმპიჩმენტის პროცედურა მისმა მომხრეებმა მის გარეშე დაიწყეს. პირველმა მარშმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. გუშინ, 17 დეკემბერს კი კიევში სერიოზულად დაიძაბა ვითარება. უკრაინის დედაქალაქის ცენტრში პეტარდები ისროლეს და ცრემლსადენი გაზი გაუშვეს.

სააკაშვილის მომხრეებს შეტაკება ოქტომბრის სასახლესთან მოუხდათ. მანამდე იყო მიტინგი, სადაც საქართველოს მესამე პრეზიდენტმა უკრაინის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებზე მზადყოფნა გამოთქვა.

– ჩვენ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებისთვის მზად ვართ, მაგრამ მოლაპარაკება მხოლოდ ერთ საკითხს – მათ გადადგომასა და მოპარული მილიარდების დაბრუნებას შეეხება, – აღნიშნა სიტყვით გამოსვლისას სააკაშვილმა.

სააკაშვილმა მიტინგზევე დააანონსა, რომ მათი საკოორდინაციო შტაბი ინსტიტუტსკის ქუჩაზე მდებარე ოქტომბრის სასახლეში განთავსდებოდა.

მარშის მონაწილეები ოქტომბრის სასახლეში განსათავსებლად მიტინგის დასრულებისთანავე გაემართნენ, თუმცა სასახლეში შესვლა იოლი არ აღმოჩნდა.

როგორც უკრაინული მედია იუწყება, მაშინ, როცა სააკაშვილის მომხრეებმა სასახლის აღება ცადეს, შენობაში ასეულობით ბავშვი და მათი მშობლები იმყოფებოდნენ. ოქტომბრის სასახლეში კულტურისა და ხელოვნების საერთაშორისო ცენტრია განთავსებული.

იმპიჩმენტის მარშის მონაწილეებს შტურმში ხელი პოლიციამ და ეროვნულმა გვარდიამ შეუშალა. განაწყენებულმა მარშელებმა სამართალდამცველების მისამართით პეტარდები ისროლეს. პოლიციამ მათი მიმართულებით ცრემლსადენი გაზი გაუშვა.

როდესაც სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა, სააკაშვილმა თავის მომხრეებს შენობის დატოვებისა და მაიდანზე დაბრუნებისკენ მოუწოდა.

უკრაინული ოპოზიციის ლიდერის თქმით, ისინი ხელისუფლების პროვოკაციებს არ უნდა წამოეგონ, გამართლებული მხოლოდ მშვიდობიანი ბრძოლაა.

– მზად ვარ, ყველაფერი გავიღო იმისთვის, რომ გავიმარჯვოთ. მე ფული არ მაქვს, მაგრამ, მზად ვარ, გამარჯვებისთვის საკუთარი სიცოცხლე და თავისუფლება გავწირო. სხვისი სიცოცხლის გაწირვას არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებ. საკუთარ სისხლს გავიღებ, მაგრამ არ დავუშვებ, რომ ჩვენი ბავშვების სისხლი დაიღვაროს. პოროშენკოს შესაძლოა სისხლისღვრა სურს, ოლიგარქებს უყვართ სისხლი, მაგრამ ჩვენ სისხლისღვრას არ დავუშვებთ! – ასე მიმართა სააკაშვილმა მომხრეებს.

სასახლიდან თავისი მომხრეების გამოყვანა ოდესის ოლქის ყოფილ გუბერნატორს გაუჭირდა. შეჭრილებს შორის აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა. მათი ნაწილი ოქტომბრის სასახლის დატოვებაზე უარს აცხადებდა.

ჩვენებურმა მათი დაყოლიება მაინც მოახერხა, უფრო სწორად, ისინი იმით დაიყოლია, რომ აქცია რადას შენობასთან გაგრძელდებოდა.

– ახლა ჩვენ სიმბოლურად გადავინაცვლებთ რადასთან, – აღნიშნა სააკაშვილმა.

ერთ-ერთი „შტურმავიკი“, რომელიც ძალიან აღგზნებული ჩანდა, ჩვენებურის მოწოდებას აღტაცებით გამოეხმაურა და იყვირა:

– რადასთან მივალთ და ფანჯრებს ჩავლეწავთ!

ამან სააკაშვილი შეაშფოთა. მან მწყაზარი სახე მიიღო და ძალადობის მქადაგებელს ასე უპასუხა:

– არაფერსაც არ ჩავამტვრევთ, არაფერს არ დავლეწავთ. ვისაც კარფანჯრის ჩამოლეწვა სურს, ის ჩვენთან ერთად ნუ წამოვა.

მისი თქმით, რადას შენობაში მშვიდობიანადაც შეიძლება შესვლა, მაგრამ ეს მაშინ მოხდება, როცა ბევრი ხალხი იქნება.

უკრაინული ოპოზიციის ლიდერმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ მისმა მომხრეებმა შეტაკების დროს ოქტომბრის სასახლის კარი შელეწეს.

– ჩვენი ბრძოლა არის მშვიდობიანი. მართალია, ხშირად მაბრალებენ, რომ მე ქართული ტემპერამენტი მაქვს, მაგრამ საკმარისი გონიერება მაქვს საიმისოდ, რომ ძალადობა არ დავუშვა, – დამოძღვრა სააკაშვილმა თავისი მომხრეები.

მისი მომხრეების წინააღმდეგ უკვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. უკრაინელი სამართალდამცავების თქმით, ისინი აუცილებლად აგებენ პასუხს ოქტომბრის სასახლეში შეჭრის გამო.

# რატომ არ საუბრობენ ევროპელი ექსპერტები აფხაზეთში ქართველთა გენოციდზე

გულიკო ბალაძე



### ჯემალ გამახარია: „ყველას უნდა გავაგებინოთ, რა მოხდა ცხინვალსა და სოხუმში“

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარია „ახალ თაობასთან“ აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ ევროპელი ექსპერტების თომას ჰამერბერგისა და მაგდალენა გრონოს მიერ გამოქვეყნებულ ევროკავშირის შიდა მოხმარების სამუშაო დოკუმენტად მიჩნეულ დასკვნას აანალიზებს.

***– ბატონო ჯემალ, ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა დასკვნა აფხაზეთში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ. ამ დასკვნის ავტორები არიან ცნობილი უფლებადამცველები თომას ჰამერბერგი და მაგლადენა გრონო. ეს დასკვნა ჩვენს მედიაში არ გახმაურებულა. რატომ არ ექცევა მას ყურადღება და არ ქვეყნდება ჩვენთან? მაქვს ინფორმაცია, რომ, ერთი მხრივ, ამ დასკვნაში ღრმადაა გაანალიზებული ადამიანის უფლებათა მდგომარეობა აფხაზეთში, მაგრამ, მეორე მხრივ, თუ არ ვცდები, აფხაზეთი ქვეყნად არის მოხსენიებული. თქვენ ამ დოკუმენტს იცნობთ?***

– ამ დასკვნას ვიცნობ. ძალიან სამწუხაროა, რომ მთელი რიგი მიზეზების გამო ძალიან სწორი გადაწყვეტილებაა მიღებული, დოკუმენტი არ გამოქვეყნდეს. ეს არის გარკვეული ავტორების მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაცია. ეს არის დასკვნა, სადაც, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საკმაოდ კარგად არის ასახული, მაგრამ, ამავე დროს, თომას ჰამერბერგი და მაგდალენა გრონო, რომლებმაც დასკვნა მოამზადეს, აფხაზეთს მთლად დამოუკიდებლად არა, მაგრამ ცალკე წარმოადგენენ, თითქოს ოკუპირებული კი არ არის, თითქოს ცალკეა, ცალკე წარმონაქმნია, გულდასმით აანალიზებენ ე.წ. კონსტიტუციასა და სისხლის სამართლის კოდექსს, ცალკე სუბიექტად გვაჩვენებენ.

***– ჰამერბერგი და გრონო დამოუკიდებლად მოქმედებენ?***

– ეს იდეა მომდინარეობს ჰერბერტ ზალბერისაგან, რომელიც სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენელი გახლდათ. მას მოუწია აქედან წასვლა. მოგეხსენებათ, ცხინვალის ე.წ. არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და ამიტომ აქედან წავიდა. გრონოც საკმაოდ ცნობილი პიროვნება გახლავთ. მახსოვს მისი ადრინდელი წერილები აფხაზეთთან დაკავშირებით, რომელიც ბევრ კითხვის ნიშანს ბადებდა სწორედ ამ კუთხით, აფხაზეთი დამოუკიდებელი ტერიტორიაა, დროებით ოკუპირებულია თუ დამოუკიდებელი სუბიექტია. მისი იმ წერილების პათოსი გაგრძელდა აღნიშნულ დასკვნაში.

***– როგორც ჩანს, ოფიციალურად ამიტომ არ გამოქვეყნდა.***

– დიახ, მიზეზი სწორედ ეს იყო. ამ დოკუმენტის დამკვეთი ევროკავშირია, მაგრამ სწორედ ამ პათოსის გამო მიიღეს გადაწყვეტილება, დასკვნისთვის შიდა მოხმარების სამუშაო დოკუმენტის სტატუსი მიენიჭებინათ, თუმცა ევროკავშირის გადაწყვეტილება ავტორებმა დაარღვიეს და 1986 წელს მოკლული შვედეთის პრემიერმინისტრის ულოფ პალმეს სახელობის საერთაშორისო ფონდის ვებგვერდზე 2017 წლის ზაფხულში გამოაქვეყნეს. თომას ჰამერბერგი შვედი გახლავთ. ის ერთი პერიოდი ამ ფონდს ხელმძღვანელობდა. ამიტომ ჰამერბერგმა აღნიშნული დასკვნა ხსენებული ფონდის ვებგვერდზე გამოაქვეყნა თავისი კომენტარებით.

***– თქვენ თქვით, აფხაზებისთვის სასარგებლო დასკვნა იყოო. რატომ არ გამოაქვეყნა ასეთი სახის დასკვნა აფხაზურმა მხარემ, რატომ არ გამოიყენა ამ დასკვნის პათოსი?***

– აფხაზურმა მხარემა არ გამოაქვეყნა, რადგან იმის აფიშირება, რაც ამ დასკვნაში წერია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, ბუნებრივია, აფხაზებს არანაირად არ აწყობდათ. დასკვნაში საკმაოდ ობიექტურად არის წარმოდგენილი ადამიანის უფლებების მდგომარეობა აფხაზეთში. დოკუმენტში საუბარია ადამიანის სხვადასხვა უფლების, მათ შორის განათლებისა და მთელი რიგი სხვა უფლებების დარღვევაზე, რაც არის გალის რაიონში, თუმცა, ამის პარალელურად, ე.წ. კონსტიტუციისა და ე.წ. კანონების ანალიზია, რომელიც კონსტიტუციად და კანონად არის მოხსენიებული. ომბუდსმენი დანიშნეს და ეს დადებითიაო. ამასთან, სხვადასხვა სახის რეკომენდაციას აძლევენ, როგორ უნდა გაუმჯობესდეს ე.წ. კანონმდებლობა.

***– სეპარატისტებს ასეთი დასკვნის არსებობა გაუხარდებოდათ?***

– სავარაუდოდ, სეპარატისტებს ამ დასკვნის გამოქვეყნება გაუხარდათ, მაგრამ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების გამომზეურება არანაირად არ აწყობდათ. ამიტომ არ გამოაქვეყნეს. ასე რომ, ამ დოკუმენტს აქვს როგორც შავი, ასევე თეთრი მხარეც, რაც ამ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების მდგომარეობის გახმაურებას შეეხება.

***– ჰელბერტ ზალბერიც, რომელმაც ცხინვალში ოს სეპარატისტებს ე.წ. არჩევნების ჩატარება მიულოცა, როგორც ჩანს, დამოუკიდებლად არ უნდა მოქმედებდეს. ზალბერის შეკვეთით დადებული ამგვარი დასკვნა ხომ არ არის დაკავშირებული რუსულ ინტერესებთან?***

– ყველა შემთხვევაში ასეთი დასკვნის დაწერა და შემდეგ მისი გამოქვეყნება რუსეთის წისქვილზე რომ ასხამს წყალს, ცხადია. ვერც დაგიდასტურებთ და ვერც უარვყოფ, რომ აფხაზეთის შესახებ ამგვარი დასკვნის დაწერა რუსეთთან პირდაპირ კავშირშია, თუმცა, ბუნებრივია, ამ დოკუმენტის ნეგატიური მხარე რუსეთის ინტერესებში შედის.

***– მეორე მხრივ, შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, თუ ადამიანის უფლებების რა დარღვევები დაინახეს ევროპელმა ექსპერტებმა ჰამერბერგმა და გრონომ?***

– აფხაზეთში ადამიანის უფლებების დარღვევებზე სასაუბროდ ჰამერბერგის დასკვნა არ გვჭირდება. ჰამერბერგამდეც ვიცოდით და ახლაც კარგად ვიცით, რომ აფხაზეთში ადამიანის უფლებების დარღვევები კი არა...

***– საერთოდ არ აქვთ ადამიანებს რაიმე უფლებები.***

– დიახ, აფხაზეთში ადამიანებს საერთოდ არავითარი უფლებები არ აქვთ, განსაკუთრებით გალის ტერიტორიაზე, სადაც საკონცენტრაციო ბანაკია შექმნილი და იქ სრულიად უუფლებო ადამიანები ცხოვრობენ. თქვენთან არაერთხელ გვისაუბრია იმაზე, თუ რა მდგომარეობაა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განათლების მშობლიურ ენაზე მიღებასთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებების დარღვევებზე ყოველდღე ვიღებთ ინფორმაციებს.

ჩვენ გვინდოდა, უცხოელებსაც დაენახათ, რა ვითარება იყო ოკუპირებულ ტერიტორიაზე. მათ დაინახეს, რა მდგომარეობაა ადამიანის უფლებების კუთხით, მაგრამ ვერ დაინახეს. რატომ ხდება ეს?

***– რატომ არ აქტიურდება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ქართველთა წინააღმდეგ მოწყობილი გენოციდისა და ეთნოწმენდის საკითხი?***

– ეს საკითხი დროდადრო უნდა აქტიურდებოდეს, რაც გვავიწყდება ხოლმე, კვლავაც უნდა გავააქტიუროთ, რომ მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ კარგად გააცნობიეროს, რა მოხდა აფხაზეთში. ეს ევროპელი ექსპერტები არ აანალიზებენ, რატომ მოხდა ეს და რა არის საჭირო, რომ მდგომარეობა გამოსწორდეს. თუ ჰამერბერგს მიაჩნია, რომ ე.წ. კონსტიტუციასა და ე.წ. კანონებში რაღაც უკეთესად ჩაიწერება, სამწუხაროდ, ასე არ არის.

***– როგორც ვიცით, აქამდე არცერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტებს ადამიანის უფლებების მდგომარეობა ასე ღრმად არ აუსახავთ.***

– დიახ, ხსენებულ დასკვნაში საკმაოდ კარგად არის ფაქტები ასახული, მაგრამ მერე რა? რა არის გამოსავალი, აფხაზეთის დე ფაქტო კონსტიტუციაში ცვლილებები შევიტანოთ, ე.წ. სისხლის სამართლის კოდექსში, ე.წ. მოქალაქეობის შესახებ კანონი გავაუმჯობესოთ?!

***– თქვენ რა გამოსავალს ხედავთ?***

– ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარებიდან გამოსავალი მხოლოდ დეოკუპაციაშია. არსებული ვითარება ოკუპაციის შედეგია. ეს მთავარი არ არის ნაჩვენები, თორემ ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროც აწვდის ინფორმაციას.

***– აღნიშნულ დოკუმენტში აფხაზეთში მოწყობილ გენოციდზე, ეთნოწმენდასა და დევნილებზე საუბარი არ არის?***

– გენოციდზე არაფერია ნათქვამი. გაკვრით არის საუბარი დევნილებსა და მათ მდგომარეობაზე. ყურადღება არ არის გამახვილებული, რამდენი ათასი ქართველი გამოიდევნა ამ ტერიტორიიდან, უბრალოდ, აღწერენ აფხაზეთში არსებულ ვითარებას. სწორედ ამიტომ არის მიუღებელი, სამწუხაროდ, ნახევარსიმართლეა ნათქვამი.

***– თუ იცით, გალისა და ოჩამჩირის იქით მცხოვრები ქართველები რა მდგომარეობაში არიან, დოკუმენტში თუ არის ასახული ეს?***

– ამის შესახებ დასკვნაში არაფერი წერია, სამაგიეროდ, საუბარია სომხების, რუსებისა და სხვა ეროვნების მოქალაქეების მდგომარეობაზე. ქართველებზე, საერთოდ, გაკვრით წერია, ასევე წერია, რომ არააფხაზები ნაკლებად ხვდებიან ე.წ. ხელისუფლებაში, ე.წ. არჩევით ორგანოებში, სასამართლოებში, სხვადასხვა სტრუქტურაში. დოკუმენტში ყურადღება არ არის გამახვილებული ქართველების მდგომარეობაზე სოხუმში, გულრიფშში, გაგრაში, სადაც ქართველები ძალიან ცოტანი არიან და შეიძლება არც კი შეხვედრიან ჰამერბერგსა და გრონოს.

***– საოკუპაციო ადმინისტრაციის დამოკიდებულება გალის ქართველი მოსახლეობის მიმართ რამენაირად თუ აისახა დოკუმენტში?***

– ამაზე საუბარი არის. განხილულია ე.წ. კანონი უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესახებ და მისი შედეგები, ნათქვამია, რომ არის ყოვლად მიუღებელი კანონი, რადგან ყველა უფლება წაართვა ამ მცხოვრებ მოსახლეობას. გაუგებარი ის არის, რომ ჯერ ამბობს, ეს კანონი წინ გადადგმული ნაბიჯიაო, მერე უკვე საუბრობს ისეთ რაღაცებზე, რაც დედამიწის ზურგზე არსად ხდება, გარდა გალის რაიონისა.

***– რას გულისხმობთ?***

– ვთქვათ, ქართველი ახალგაზრდები დაქორწინდნენ. მათ ამ ქორწინების გალში დარეგისტრირების უფლება არ აქვთ. ასევე, ბავშვი რომ იბადება, მისი რეგისტრაციის უფლება არ აქვთ, მაგრამ არ წერენ მთავარს, რატომ ხდება ეს. არ წერენ, რომ ეს ოკუპაციის შედეგია.

# მამუკა ბახტაძე: „ჩვენი მიზანი სიღარიბის დაძლევაა“

13 დეკემბერს პარლამენტმა 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი დაამტკიცა. გაირკვა, რომ მომავალ წელს მთავრობა 12.459.500.000 ლარს დახარჯავს, რაც 2017 წელთან შედარებით 943 მილიონით მეტია. დასახელდა ის მიმართულებები, რომლებიც ხელისუფლებამ პრიორიტეტებად გამოყო. ყველაზე მეტი ფული ჯანდაცვის, განათლებისა და ინფრასტრუქტურის მიმართულებით დაიხარჯება. ამავდროულად, ბიუჯეტი არ ითვალისწინებს პენსიისა და დევნილთა შემწეობის გაზრდას, რის გამოც ხელისუფლება ოპოზიციამ გააკრიტიკა. როგორია საბიუჯეტო პრიორიტეტები, მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტი და რა პასუხი აქვს ქვეყნის მთავარ ფინანსისტს ოპოზიციის ბრალდებებზე.

ფინანსთა მინისტრ მამუკა ბახტაძეს ჟურნალისტი თეა სიჭინავა ესაუბრა.

***— პარლამენტმა 2018 წლის ბიუჯეტი დებატების ფონზე დაამტკიცა. რით განსხვავდება 2018 წლის ბიუჯეტი წინა წლების ბიუჯეტებისგან და ყველაზე მეტად როგორ აისახება ის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე?***

— 2018 წლის ბიუჯეტი, პირველ რიგში, ორიენტირებულია ჩვენ საზოგადოებაზე, მოსახლეობაზე, იმ პროგრამებსა თუ პროექტებზე, რომელიც ეკონომიკური ზრდას კიდევ უფრო დააჩქარებს და ვფიქრობთ, რომ ის დაბალანსებულია. როდესაც ჩვენ ბიუჯეტის დადებით და უარყოფით მხარეებზე ვლაპარაკობთ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, თუ რას ფიქრობს ამ ბიუჯეტზე, ამ ფისკალურ პარამეტრებზე საერთაშორისო სავალუტო ფონდი...

***— ოპოზიციამ შეგახსენათ, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის პენსიისა და დევნილებისთვის შემწეობების ზრდა. ალბათ დამეთანხმებით, რომ ესეც გამოწვევაა ჩვენი მოსახლეობისთვის. ამაზე რა პასუხი გაქვთ?***

— ცალსახად, ჩვენი ქვეყნის პირველი გამოწვევა სიღარიბის დაძლევაა. ამის შესახებ პარლამენტში გამოსვლისას ძალიან დეტალურად ვილაპარაკე. რა თქმა უნდა, მე, ისევე როგორც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, მოხარული იქნებოდა გაცილებით დიდი ციფრები ენახა იმ მიმართულებით, რაც თქვენ დაასახელეთ, მაგრამ ამავე დროს ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ გვჭირდება ძალიან სწრაფი ეკონომიკური განვითარება იმისთვის, რომ საფუძველი შევქმნათ ქვეყანაში სიღარიბის დასაძლევად. ეს პროექტები სწორედ ამას ემსახურება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ის პროგრამა, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შევათანხმეთ, 3-წლიანია და ამ პროექტის ფარგლებში 2019-2020 წლებში გათვალისწინებული გვაქვს პენსიის 40 ლარიანი ზრდა. დავაზუსტებ დევნილებთან დაკავშირებულ ინფორმაციასაც. ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ და ბიუჯეტი გავზარდეთ დევნილების ბინებით დაკმაყოფილების თვალსაზრისით; ძალიან აქტიურად ვმუშაობთ დონორებთან, რომ ეს მიმართულება გაიზარდოს. უახლოეს დღეებში ამ კუთხით კიდევ ერთი სასიხარულო ინფორმაცია იქნება. ასე, რომ ამ ყველაფერს თუ მთლიანობაში შევაფასებთ, ბიუჯეტი ნამდვილად დაბალანსებული იმ დონეზე, რა დონეზეც შესაძლებელი იყო. ეს მხოლოდ ჩემი სიტყვები არ არის, ეს საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების შეფასება, მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდის.

***— თქვენ აქცენტი გააკეთეთ პრიორიტეტებზე, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ინფრასტრუქტურის მიმართულებით 2018 წლის მთავარი პროექტები შეგიძლიათ გამოყოთ?***



— ინფრასტრუქტურის მიმართულება შემდეგ წლებში კიდევ უფრო მასშტაბური იქნება. ჩვენ რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებაზე ვაკეთებთ აქცენტს. რა თქმა უნდა, პირველ რიგში უნდა გამოვყო ჩქაროსნული მაგისტრალი აღმოსავლეთ-დასავლეთი. აქ ჩვენ ყველაზე რთული უბნის მშენებლობას ვიწყებთ, კონკრეტულად – რიკოთის უღელტეხილის. მინდა გამოვყო ქუთაისიდან მესტიამდე ახალი გზის პროექტი. ეს იქნება ყველაზე მოკლე გზა ქუთაისის აეროპორტიდან სვანეთის მიმართულებით, რომელიც, ვფიქრობ, რომ ძალიან დიდი სტიმული იქნება სვანეთში ეკონომიკური განვითარებისთვის. მინდა აღვნიშნო სამხრეთის მიმართულება, ეს იქნება ქუთაისიდან აბასთუმნის მიმართულებით ახალი გზა. აბასთუმანს უნიკალური ტურისტული პოტენციალი აქვს და ის აუცილებლად უნდა ავითვისოთ. გვაქვს პროექტები მაღალმთიანი აჭარის მიმართულებით, საიდანაც სამხრეთ საქართველოს გავლით შევძლებთ მოხვედრას აჭარის ულამაზეს მაღალმთიან რაიონებში, შემდეგ კი ეს გზა ბათუმის მიმართულებით იქნება. რა თქმა უნდა, უნდა გამოვყოთ ახალი გზა საჩხერე-რაჭის მიმართულებით, რომელიც მნიშვნელოვნად დაამოკლებს მანძილს დედაქალაქიდან ამ ულამაზეს კუთხემდე და ვფიქრობ, რომ რაჭის ტურისტული პოტენციალი მნიშვნელოვნად გაიზრდება ამ პროექტის განხორციელების შემდეგ. მეორე დერეფანს, ჩრდილოეთ-სამხრეთს რაც შეეხება, აქ უნდა აღვნიშნოთ ლარსის მიმართულებით ძალიან მასშტაბური პროექტის გაკეთება. პირველი მონაკვეთი იქნება ნატახტარიდან ჟინვალის მიმართულებით და ამის გარდა ამ დერეფანში აშენდება ერთ-ერთი ყველაზე რთული საინჟინრო ნაგებობა – 8-კილომეტრიანი გობის გვირაბი, რომელიც ერთი საათით შეამცირებს დროს თბილისიდან სტეფანწმინდის მიმართულებით და ამავე დროს მნიშვნელოვანწილად გაზრდის ტრანზიტულ გამტარუნარიანობას. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და აღვნიშნო უნიკალური პროექტი, ეს არის სნო-ჯუთა-შატილის მიმართულებით საავტომობილო გზის მშენებლობა. ეს არის თითქმის 200-კილომეტრიანი მონაკვეთი. მას ინფრასტრუქტურული დატვირთვის გარდა, სოციალური დატვირთვაც აქვს. იცით, რომ, სამწუხაროდ, მთის მოსახლეობა იძულებული იყო თავისი სოფლებიდან ქალაქების მიმართულებით წამოსულიყო და დარწმუნებული ვარ, ასეთი პროექტების რეალიზაციის შედეგად ხელს შევუწყობთ იმას, რომ მოსახლეობა თავის მკვიდრ სოფლებს დაუბრუნდება და იქ უნიკალური ტურისტული შესაძლებლობები შეიქმნება...

***— თქვენს უწყებაში თუ გეგმავთ რეფორმას?***

— შევეცადე, პარლამენტში ამაზეც ამომწურავად მელაპარაკა. დანიშვნის პირველივე დღიდან, ჩემი გზავნილი იყო ის, რომ არც ერთ რეფორმას და ინიციატივას არ განვახორციელებთ, თუ დეტალური კონსულტაციები არ გვექნება ქართველ მეწარმეებთან. ეს არის მნიშვნელოვანი მიდგომა ჩვენს რეფორმებში და სანამ მე პარლამენტში წარვდგებოდი 2-კვირიანი ფანჯრით ვისარგებლე და კონსულტაციები მქონდა ფაქტობრივად ყველა მსხვილ ასოციაციასთან, როგორც მცირე, ასევე საშუალო ბიზნესების წარმომადგენლებთან და კომპანიებთან და ჩვენ სრული მხარდაჭერა გვაქვს იმ რეფორმების პაკეტის მიმართ, რის განხორციელებასაც ვაპირებთ. განსაკუთრებით ყველაზე დიდი მოლოდინია დღგ-ს ზედმეტობის ავტომატური დაბრუნების სისტემის მიმართ. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი და მგრძნობიარე საკითხი დღეს ქართული ბიზნესისთვის. ორიოდე სიტყვით მინდა გითხრათ თუ რაში მდგომარეობს ის. ჩვენი რეფორმით მეწარმე, ელექტრონული განაცხადის შემდეგ 5-7 სამუშაო დღეში შეძლებს უკან დაიბრუნოს დღგ-ს ზედმეტობა, რომელიც მას ობიექტურად ეკუთვნის. ეს ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმაა, ეს 600 მილიონი ლარის ფულად მასაზე წვდომას მისცემს ჩვენ მეწარმეებს და ჩვენი კომპანიების კონკურენტუნარიანობას მნიშვნელოვნად გაზრდის. ამის გარდა, პაკეტში სხვა საინტერესო ინიციატივებიც გვაქვს. მინდა გამოვყო ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელსაც საბაჟო მიმართულებით ვახორციელებთ. ვფიქრობთ, რომ აქ სერვისების გაუმჯობესებისა და განვითარების ძალიან დიდი რესურსებია, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება ალბათ ციფრული საბაჟოს კონცეფციის დანერგვა. გვაქვს სხვა ინიციატივებიც.

***— ახსენეთ, რომ სავალუტო ფონდის ერთ-ერთი რეკომენდაციაა, ხელისუფლებამ უნდა შეზღუდოს ხელფასების ზრდა, შემცირდეს სახელმწიფო საწარმოების სუბსიდირება და კაპიტალის მიწოდება. ხელისუფლება ამ რეკომენდაციებს გაითვალისწინებს, რაც შეიძლება არაპოპულარულიც იყოს?***

— ჩვენ არათუ გავითვალისწინებთ, არამედ ამისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით. ეს არის ის 140-მილიონიანი დანაზოგი, რაც ჩვენ წელს შევძელით.

***— სტრუქტურულ ცვლილებებს გულისხმობთ?***

— დიახ. თითოეული ნაბიჯი, რაც ამ კუთხით გვაქვს გასაკეთებელი, ამ პროგრამაშია გაწერილი გრაფიკის შესაბამისად. ამიტომ ეს არ არის, ასე ვთქვათ, კონცეფცია, ეს არის ძალიან კონკრეტული ციფრები კონკრეტული თარიღებით, თუ როგორ შევძლებთ ამის გაკეთებას. ამისთვის პირველი და ვფიქრობ, ძალიან დიდი ნაბიჯი უკვე გადადგმულია ამ 140-მილიონიანი ეკონომიით და სავალუტო ფონდიც ასე ფიქრობს.

***— მთავრობაც ამაზე საუბრობს და თქვენც რამდენჯერმე ახსენეთ, რომ უცხოური ინვესტიციების ზრდის მიმართულებით პროგრესია. საქსტატის მონაცემებით, ჯერჯერობით, მხოლოდ 3 კვარტლის შედეგია ცნობილი, მაგრამ როგორი მოლოდინი გაქვთ, კიდევ უფრო მნიშვნელოვნად იქნება მონაცემები გაზრდილი?***

— შეგვიძლია შემდგარი ფაქტით ვიმსჯელოთ, რომ პირველი სამი კვარტლის მონაცემებით 1 მილიარდ 300 მილიონს გადააჭარბა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა და ეს არის საუკეთესო შედეგი საქართველოს ისტორიაში. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით პოზიტიური მოლოდინი გვაქვს. თქვენ იცით, რომ ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებიც მთავრობამ გააფორმა, ესენია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება ევროკავშირთან, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება ჩინეთთან, რომელიც პირველი იანვრიდან ამოქმედდება და ბუნებრივია, ჩვენ დამატებით ველოდებით ინვესტიციების გაზრდას. რასაც ვიტყვი, ეს სიახლე არ იქნება. საქართველოს ბაზარი დიდი არ არის, შესაბამისად ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესს შევუქმნათ წვდომა სხვა დიდ ბაზრებზე. ეს პლატფორმა შექმნილია. მინდა ყველას შევახსენო, ევროკავშირი და ჩინეთი – ეს არის ორი ყველაზე დიდი ეკონომიკური პლატფორმა, რაც მსოფლიოში არსებობს და შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით ძალიან კარგი წინაპირობა გვაქვს.

***— ხშირად გვესმის, რომ ბიუჯეტის არათანაბარი ხარჯვა გარკვეულწილად მოქმედებს ლარის კურსზე. მომავალ წელს ბიუჯეტი ამ არათანაბარი ხარჯვისგან დაცული იქნება თუ არა?***

— პირველ რიგში, არათანაბარ ხარჯვას რაც შეეხება, სწორი ფისკალური პოლიტიკის შემთხვევაში საბიუჯეტო ხარჯვას ვერანაირი გავლენა ვერ ექნება სავალუტო კურსზე. ვფიქრობ, რომ ეროვნულმა ბანკმა ძალიან კარგი განმარტება გააკეთა ამ კუთხით, კარგი განმარტება გააკეთა საერთაშორისო სავალუტო ფონდმაც, მაგრამ მე მინდა კონკრეტული შედეგებით ვიმსჯელოთ. საბიუჯეტო სახსრების ათვისების პროცენტი პირველ სამ კვარტალში 96%-ა და მეოთხე კვარტალშიც ვფიქრობ, რომ ეს შედეგი შენარჩუნდება, შესაბამისად, ჩვენ დღეს ეკონომიკაში არანაირი არათანაბარი ხარჯვა არ გვაქვს. ეკონომიკური თეორიიდან მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ სწორი ფისკალური პოლიტიკის შემთხვევაში ხარჯვას სავალუტო კურსზე მნიშვნელოვნად გავლენა ვერ ექნება.

***— საგარეო ვალი გაისად 860 მილიონი ლარით იზრდება. ხომ არ უახლოვდება ეს მონაცემი კრიტიკულ და საშიშ ზღვარს და იქნება თუ არა ეს ერთგვარი ტვირთი ქართული ეკონომიკისთვის?***

— დიდი მადლობა ამ კითხვისთვის. ჩვენ ვალი მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 42%-ის ფარგლებში იტრიალებს. მინდა ძალიან მნიშვნელოვანი განმარტება გავაკეთო. ჩვენ სესხს ვიღებთ მხოლოდ და მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენი პოლიტიკური ოპონენტები შეეცადნენ ეს ციფრი საზოგადოებისთვის არასწორად მიეწოდებინათ. შესაბამისად, როდესაც ამ პროექტების ტემპი რამდენიმე წლის შემდეგ შედარებით დაბალი იქნება, საგარეო ვალის ეს პროცენტიც დაიწევს. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, სხვა ფინანსურმა ინსტიტუტებმა და ჩვენც, გავაკეთეთ სტრესტესტი, რომლის გაკეთებაც ამ დროს აუცილებელია და მინდა გითხრათ, რომ ვალის ეს დონე არის ძალიან კომფორტული და ამ კუთხით ჩვენ ძალიან თავდაჯერებულები ვართ.

**იმედინიუსი**

## „ზამთრის კურორტებზე წელს უცხოელი ტურისტების მხოლოდ 5-6%-იან ზრდას ველოდებით“



„წელს ზამთრის სეზონზე უცხოელი ტურისტების მხოლოდ 5-6%-იან ზრდას ველოდებით“.

ამის შესახებ რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „კომერსანტზე სანდრო ვეფხვაძესთან“ საქართველოს რესტორნებისა და სასტუმროების ფედერაციის დამფუძნებელმა შალვა ალავერდაშვილმა განაცხადა.

საქართველოს ზამთრის კურორტებზე ზამთრის ტურისტული სეზონი უკვე გაიხსნა. გუდაური, ბაკურიანი და გოდერძი ტურისტებს უკვე იღებენ. ხვალ კი სეზონი მესტიაშიც გაიხსნება. როგორ შეხვდა კერძო სექტორი 2017-2018 წლის ზამთრის ტურისტულ სეზონს, ამასთან დაკავშირებით რადიო „კომერსანტის“ კითხვებს შალვა ალავერდაშვილმა უპასუხა.

– წლევანდელ ზამთრის საკურორტო სეზონს კერძო სექტორი საკმაოდ მომზადებული ხვდება. წელს კურორტებზე რამდენიმე ასეული ნომერი დაემატა, შენდება ახალი სასტუმროები, თუმცა მოთხოვნას არსებულებიც აკმაყოფილებს. რაც შეეხება ტურისტების რაოდენობას, ისეთ დრამატულ ზრდას, როგორც ზაფხულში იყო, ზამთრის სეზონზე არ ველოდებით. ჩვენი გათვლებით, ზრდა დაახლოებით 5-6% იქნება, – განაცხადა შალვა ალავერდაშვილმა.

რაც შეეხება კურორტებზე არსებულ ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, რაზეც ადგილობრივები და კერძო სექტორი საუბრობს, ალავერდაშვილიც აღიარებს.

– წინსვლა გვაქვს, საქმე კეთდება, მაგრამ რა თქმა უნდა, პრობლემები არსებობს. ინფრასტრუქტურის სამინისტროც და მთის კურორტების განვითარების კომპანია ნამდვილად ცდილობენ, რომ სიტუაცია მოაწესრიგონ. ერთადერთი, რაც შეიძლება მათ დავუწუნოთ, ეს არის ტემპი. თუმცა არც ეს არის სერიოზული პრობლემა.

კერძო სექტორი კი ძლიერდება, უფრო მეტი გასაჩერებელი ადგილი და რესტორანი ჩნდება ზამთრის კურორტებზე. ყოველწლიურად უფრო მეტ ადამიანს შეუძლია ჩავიდეს ზამთრის კურორტებზე და კერძო სექტორის მხრიდან მეტი სიკეთით ისარგებლოს. განსაკუთრებით აღსანიშნავია გუდაური, სადაც სასტუმროები და კვების ობიექტები უფრო სწრაფი ტემპით ვითარდება, – განაცხადა ალავერდაშვილმა.

**„კომერსანტი“**

## პრეზიდენტის, პრემიერისა და პარლამენტის თავმჯდომარის მაქსიმალური ანაზღაურება 13 ათასი ლარი იქნება

მიმდინარე წლის 29 სექტემბერს პარლამენტში მთავრობამ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონპროექტის ინიცირება მოახდინა.

ამ მომენტისთვის კანონპროექტი პირველი მოსმენით არის მიღებული.

კანონპროექტით შემოთავაზებულია თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის ახალი სისტემა, რომელიც გულისხმობს თანამდებობრივი კოეფიციენტებისა და საბაზო თანამდებობრივი სარგოს ცნებების შემოღებას, აგრეთვე აწესებს სახელფასო დანამატისა და ჯილდოს ზღვრულ ოდენობებსა და გაცემის საფუძვლებს.

საჯარო დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების ახალ წესთან დაკავშირებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ მიმოხილვა გამოაქვეყნა, სადაც ნაჩვენებია თუ რამდენი იქნება მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მაქსიმალური ყოველთვიური შრომის ანაზღაურება კანონპროექტის შესაბამისად.



როგორც მიმოხილვაშია აღნიშნული, პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის და პარლამენტის თავმჯდომარის მაქსიმალური ყოველთვიური შრომის ანაზღაურება (სარგო, დანამატი, ჯილდო) 13 ათასი ლარი; მინისტრის და სახელმწიფო მინისტრის – 11 050 ლარი; ხოლო პარლამენტის წევრის შემთხვევაში – 9 425 ლარი იქნება.

## მშენებლობების 50% ვაკე-საბურთალოზე მოდის

კომპანია KPMG Georgia-მ „ამწეების ინდექსი“ გამოაქვეყნა, რომელშიც 2017 წლის მეოთხე კვარტალში თბილისში განხორციელებული მშენებლობებია გაანალიზებული.

კვლევა მხოლოდ მასშტაბურ მშენებლობებს მოიცავს და მასში არ შედის მცირე ზომის კომპლექსების მშენებლობა.

საანგარიშო პერიოდში სამშენებლო მოედნებზე გამოვლენილი იყო 117 ამწე, რაც 2017 წლის პირველ კვარტალთან (107 ამწე) შედარებით 9,3%-ით მეტია, ზრდას წარმოადგენს (107 ამწე).

კვლევის შედეგებმა ასევე ცხადყო, რომ საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობა ყველაზე მიმზიდველი დეველოპერებისა და კერძო ინვესტორებისთვის იყო. აღნიშნულ სეგმენტზე სამშენებლო სამუშაოების 67.2% მოდის, ხოლო მულტიფუნქციურ შენობებზე კი 15,5% მოდის.

საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტი მშენებლობა ვაკეში დაფიქსირდა. ვაკის რაიონი პირველ ადგილზეა ათას მოსახლეზე ამწეების რაოდენობის მიხედვით.

მას მოსდევს საბურთალო, ისანი-სამგორი, ნაძალადევი და გლდანი. ჯამში მშენებლობების 50% ვაკე-საბურთალოზე მოდის.

2017 წლის პირველ კვარტალთან შედარებით (26 ამწე), საანგარიშო პერიოდში ვაკეში 31 ამწე იყო გამოვლენილი. აქედან ოთხი ამწე გაჩერებული ან მშენებლობის საბოლოო ეტაპზე იყო; 22 ამწე გამოყენებული იყო საცხოვრებელი შენობების მშენებლობისთვის; დანარჩენი ხუთი ამწის გამოყენება ხდება მულტიფუნქციური პროექტების მშენებლობისთვის.

აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგების თანახმად, თბილისის უბანი, სადაც ყველაზე დაბალი სამშენებლო აქტივობაა დაფიქსირებული, კრწანისია. აღნიშნულ უბანში სულ ოთხი ამწე დაფიქსირდა, რომელიც გამოყენებული იყო საცხოვრებელი შენობების მშენებლობისთვის.

# სპეცოპერაციის დროს დაღუპული სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლის ივანე გოლაშვილის ოჯახს საცხოვრებელი ბინა გადაეცა



ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე სპეცოპერაციის დროს დაღუპული სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლის ივანე გოლაშვილის ოჯახს საცხოვრებელი ბინა გადაეცა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, ნაძალადევის რაიონში მდებარე კეთილმოწყობილი, საჭირო ავეჯითა და ტექნიკით აღჭურვილი ბინა ივანე გოლაშვილის ოჯახს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ვახტანგ გომელაურმა პირადად გადასცა და ბარბარობის დღესასწაული მიულოცა.

უწყების ცნობით, საცხოვრებელი ბინა ფონდმა „ქართუმ“ შეიძინა.

გარდაცვლილი სპეცრაზმელის ოჯახს სახელმწიფო ერთჯერადად 100.000 ლარით დაეხმარა, ხოლო ყოველთვიურად 1.000 ლარი გადაეცემა.

**ინტერპრესნიუსი**

# სამართალდამცავებმა წალკაში ქურდობის ბრალდებით სამი პირი დააკავეს



სამართალდამცველებმა 1990 წელს დაბადებული ი.ბ., 1992 წელს დაბადებული ზ.ტ. და 1990 წელს დაბადებული გ.გ., ქურდობის ბრალდებით წალკაში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა მარაბდა-კარწახის რკინიგზის სადგურ „ნინოწმინდაში“, გაჩერებული დრეზინიდან სპილენძის საკონტაქტო სადენები მოიპარეს, რითაც კომპანია „ATEF GEORGIA“-ს 4324 ლარის ზარალი მიაყენეს.

სამართალდამცველებმა სამივე ბრალდებული ცხელ კვალზე, წალკის გასასვლელთან დააკავეს. პოლიციამ ავტომანქანიდან, რომლითაც დაკავებულები გადაადგილდებოდნენ, ნაქურდალი სადენები ნივთმტკიცებად ამოიღო.

დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

გამოძიება მიმდინარეობს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი ქურდობის ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკორეალიზატორი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს საორგანიზაციო სამმართველოს 1-ლი განყოფილების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1962 წელს დაბადებული მ.მ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული ნარკოტიკულ საშუალებას სისტემატურად ყიდდა. პოლიციამ დაკავებულის მიერ გაყიდული, 4 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი, 0,0058 გრამი „მორფინი“ და ნარკოტიკის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა ნივთმტკიცებად ამოიღო.

სამართალდამცველებმა მ.მ. სასაზღვრო გამშვები პუნქტი „წითელი ხიდის“ ტერიტორიაზე იმ დროს დააკავეს, როცა იგი ქვეყნის დატოვებას ცდილობდა.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც ექვსიდან თერთმეტ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ხულოში სკოლის მოსწავლე გარდაცვლილი იპოვეს




ხულოში სკოლის მოსწავლე გარდაცვლილი იპოვეს. როგორც ცნობილია, იგი მეთორმეტე კლასის მოსწავლეა. დეტალები ჯერჯერობით უცნობია, თუმცა მომხდარის მიზეზად სუიციდი სახელდება.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც პირის თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# კახეთში ოჯახში ძალადობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ყვარლის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ოჯახში ძალადობის ბრალდებით, 1958 წელს დაბადებული, ამავე დანაშაულის ჩადენისთვის პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი თ.წ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ყვარლის რაიონის სოფელ ენისელში ურთიერთშელაპარაკებისას მეუღლეს – 1958 წელს დაბადებულ ნ.შ.-ს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

გამოძიება ოჯახში არაერთგზის ძალადობის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, რაც ერთიდან სამ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# გია სოსანაშვილი აცხადებს, რომ პროკურორის პირველი მოადგილე მკვლელობის დამკვეთად ირაკლი ფირცხალავას დასახელებას სთხოვდა



იური ვაზაგაშვილის მკვლელობისთვის მსჯავრდებული გია სოსანაშვილი მთავარი პროკურორის მოადგილეს მამუკა ვასაძეს გარიგების შეთავაზებაში ადანაშაულებს.

როგორც გია სოსანაშვილმა „რუსთავი 2“-თან საუბრისას განაცხადა, მამუკა ვასაძე მასთან ციხეში ორჯერ შევიდა და შესთავაზა, რომ თუ კრიმინალური პოლიციის ყოფილ უფროსს ირაკლი ფირცხალავას ვაზაგაშვილის მკვლელობის დამკვეთად დაასახელებდა, მას მხოლოდ 3-წლიან პატიმრობას შეუფარდებდნენ, ხოლო ოჯახს ფინანსურად უზრუნველყოფდნენ.

– პირდაპირ მითხრა პროკურორის პირველმა მოადგილემ მამუკა ვასაძემ – შენ ვინა ხარ, მე მიშას და ყოფილ მთავარ პროკურორს წავუყენე ბრალი და შენ ვინა ხარ? თუ არ იტყვი, რომ მე მოვკალი ვაზაგაშვილი და ეს დამავალა ირაკლი ფირცხალავამ, შენ მოგცემ სამუდამო პატიმრობას, თუ აღიარებ, დაგეხმარებიო. 2015 წლის 14 თებერვალს მამუკა ვასაძე ისევ შემოვიდა მატროსოვის ციხეში და მაშინდელმა დირექტორმა შოთა ფუტკარაშვილმა გამომიყვანა. ვასაძემ იგივე გამიმეორა – თუ ვაღიარებდი, გამომიშვებდა, როგორც გაუშვა ოლეგ მელნიკოვი, სამაგიეროდ, უზრუნველყოფილი იქნებოდა ჩემი ოჯახი ფინანსურად და სულ რაღაც 3 წელში მეც გამიშვებდნენ, – განაცხადა გია სოსანაშვილმა.

მისივე მტკიცებით, ვაზაგაშვილის მკვლელობის დამკვეთად ირაკლი ფირცხალავას დასახელებას ასევე სთხოვდა ვაზაგაშვილის და, მანანა ვაზაგაშვილი, რომელიც მასთან მატროსოვის ციხეში შევიდა.

– მანანა ვაზაგაშვილმა მითხრა, აღიარე დანაშაული და როგორც სპეცრაზმელები გავაშვებინე, ისე გავაშვებინებ შენს თავსო, – განაცხადა გია სოსანაშვილმა.

ამასთან, „რუსთავი 2“-თან საუბარში კომენტარი გააკეთა მანანა ვაზაგაშვილმა. იგი გია სოსანაშვილთან ციხეში შესვლასა და რაიმე სახის შეთავაზებას უარყოფს.

– სოსანაშვილი იყო მკვლელი და მიუსაჯა სასამართლომ სასჯელი, მე რატომ უნდა შევსულიყავი ციხეში? ეს არის მორიგი ტყუილი, – განაცხადა მანანა ვაზაგაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ იური ვაზაგაშვილი 2015 წლის 20 იანვარს საკუთარი ვაჟის საფლავზე ააფეთქეს. მკვლელობაში ბრალდებულ გია სოსანაშვილს 20-წლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი.

# ია მეტრეველი: „არ გაგიკვირდეთ, ჩემს ლიკვიდაციაზეც თუ გაიგებთ“



2004 წელს დიდუბის პანთეონთან მოკლული ბუტა რობაქიძის დედა, ია მეტრეველი, „სამართალდამცველების რეფორმირების ცენტრის“ მიერ მის წინააღმდეგ პროკურატურაში სარჩელის შეტანას ეხმაურება და ამბობს, რომ სარჩელი მისი ღირსების შელახვას ემსახურება.

მეტრეველი სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს:

– ამ ორგანიზაციისა და ზვიად კუპრავას მიერ შეტანილი განცხადება პროკურატურაში ჩემი ღირსების შელახვას ემსახურება. ეს ყველაფერი დაკავშირებულია მიმდინარე სასამართლო პროცესებთან. გინდ პროკურატურაში შეიტანონ საჩივარი და გინდ სტრასბურში გადააგზავნონ, არანაირი პრობლემა არ არის.

ვაპირებ, სასამართლოში შევიტანო განცხადება კუპრავასა და ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ ღირსების შელახვისთვის. მათ არაერთხელ ცადეს, მტკიცებულებებისა და სიმართლის გარეშე ჩემი სახელი შელახონ.

ამიტომაც სასამართლოზე საქვეყნოდ მოუწევთ ბოდიშის მოხდა. ბრალდება ეხება იმას, რომ თითქოს „ქომაგში“ თანხების არამიზნობრივი ხარჯვა მიმდინარეობდა. მოგეხსენებათ, ქომაგის დამფუძნებელი მე გახლდით. ეს სრული სისულელე და აბსურდია, ეს ყველაფერი ემსახურება იმას, რომ როგორმე ჩემზე მოხდეს ზემოქმედება. არ გამიკვირდება და არ გაგიკვირდეთ, თუკი ჩემს ლიკვიდაციაზეც გაიგებთ.

გახსოვთ ალბათ, ზურა ვაზაგაშვილს რაც უქნეს. ახლა ჯერი ჩემზეა და მთელი ეს „ნაციონალური მოძრაობის“ მანქანა მე მიპირისპირდება იმის გამო, რომ ცოტა დრო დარჩათ, რადგან ძალიან მალე დაიჭერენ. ამის გამო ხდება ჩემზე შეტევა, – განაცხადა მეტრეველმა.

# შსს-მ თბილისში უკანონო იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში უკანონო იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით, 1969 წელს დაბადებული მ.ნ. დააკავეს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ორლულიანი გადაჭრილი სანადირო თოფი – ე.წ. აბრეზი და 4 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

სამინისტროს ინფორმაციით, ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც ოთხიდან ექვს წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# გორში სამართალდამცველები ქალის ცემაში ბრალდებულ მამაკაცს ეძებენ



გორში სამართალდამცველები ქალის ცემაში ბრალდებულ მამაკაცს ეძებენ. შემთხვევა გუშინ გვიან ღამით მოხდა. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, ქალს მამაკაცი სადარბაზოში დახვდა და ფიზიკურად გაუსწორდა. როგორც შსს პრესსამსახურში აცხადებენ, მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ძალადობას გულისხმობს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ბრძოლა იერუსალიმის გამო გრძელდება

## თურქეთი მესამე მსოფლიო ომის შესაძლო გაჩაღების ადგილად სახელდება

მარიამ მჭედლიშვილი



აშშ-ის პრეზიდენტის მიერ იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარებით გამოწვეული სკანდალი არ განელებულა. იერუსალიმის გამო ბრძოლა გრძელდება.

გაეროს უშიშროების საბჭო, რომელიც თავიდანვე გამოვიდა დონალდ ტრამპის ამ განცხადების წინააღმდეგ, იხილავს ამ საკითხზე რეზოლუციის პროექტს.

გაეროში ისრაელის მუდმივი წარმომადგენელი დანი დანონი აცხადებს, რომ ამ პრობლემას კენჭისყრა არ წყვეტს:

– იერუსალიმის, როგორც ისრაელის დედაქალაქის სტატუსს არ ცვლის რომელიმე კენჭისყრა და დისკუსია. აშკარა რეალობა მდგომარეობს იმაში, რომ იერუსალიმი იყო და ყოველთვის დარჩება ისრაელის დედაქალაქად.

დიპლომატის თქმით, ისრაელი და მისი მოკავშირეები აგრძელებენ ბრძოლას ისტორიული სამართლიანობისათვის.

ისრაელის წარმომადგენელი ეწინააღმდეგება არა მარტო რეზოლუციის პროექტს, არამედ, მისი განხილვის პერიოდს. ის დაემთხვა ხანუკას დღესასწაულს, რომელიც იერუსალიმის გამოხსნის გახსენებაა. მისი შეფასებით, პალესტინელები ცდილობენ ისტორიის გადაწერას.

ამ საკითხზე გააქტიურებული თურქეთის პრეზიდენტი მოუწოდებს გაეროს, მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილება იერუსალიმის სტატუსზე. რეჯეპ ტაიპ ერდოღანი აღნიშნავს, რომ ოფიციალური ანკარა უარს არ იტყვის პალესტინელი ხალხის მხარდაჭერაზე. მისი განცხადებით, თურქეთი განაგრძობს თანამოძმეებისადმი თანადგომას მთელ მსოფლიოში, როგორც ეს იყო თავის დროზე ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, ასევე – კავკასიაში. თურქეთისა და თურქი ხალხის პოზიცია უცვლელია და ის ნაკარნახევია ალთქმებითა და წინაპრების მემკვიდრეობით.

აშშ-ის პრეზიდენტის ინიციატივას იერუსალიმის თაობაზე მხოლოდ ანკარის მხრიდან არ გამოუწვევია ნეგატიური რეაქცია. მას დაუპირისპირდნენ სხვა მუსლიმანური ქვეყნები, რომლებმაც მსოფლიოს პალესტინის დამოუკიდებლობისა და აღმოსავლეთ იერუსალიმის მის დედაქალაქად ცნობისაკენ მოუწოდეს. ტრამპის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა გაერთიანებული ევროპა და რუსეთი. ითქვა, რომ ამით წერტილი ესმება ისრაელ-პალესტინის მოლაპარაკებებს.

ისრაელის მედიის შეფასებით, მოლაპარაკებები და კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება პალესტინის მიზნებში არ შედის, დონალდ ტრამპის გადაწყვეტილება კი პალესტინელებისათვის საჩუქარია.

ავტორების აზრით, პალესტინის მმართველი ფენა, სამხედრო ელიტა და ინტელიგენცია ნაციონალური ბრძოლის ხარჯზე არსებობენ. ამის წყალობით ისინი იღებენ შესაწირს არაბული სახელმწიფოებისაგან. ამ ბრძოლის ხარჯზე პალესტინელები ინარჩუნებენ თავიანთ ეროვნულ იდენტობას. მათთვის იმის ალბათობა, რომ კონფლიქტი გადაიჭრება, მუქარაა და არა – იმედი. ეს იქნებოდა პალესტინური ნაციონალიზმის დასასრული. დონალ ტრამპის განცხადება მათთვის საჩუქარია – ესაა კიდევ ერთი საბაბი ბრძოლისათვის.

იერუსალიმის საკითხმა არეულობა გამოიწვია, პირველ რიგში, ახლო აღმოსავლეთში.

ამერიკელი ექსპერტები იერუსალიმის საკითხის გარეშეც ასახელებენ მესამე მსოფლიო ომის შესაძლო გაჩაღების კერებს. ერთ-ერთი მათგანია ნატოს სამხრეთი ფლანგი თურქეთის ჩათვლით. სპეციალისტები უსაფრთხოების სფეროში ამის მთავარ მიზეზად თვლიან ანკარის დაშორებას ევროკავშირისაგან და მის დაახლოებას მოსკოვთან. მათი გათვლით, ამ რეგიონში ძალთა ბალანსის შეცვლა გამოიწვევს ცვლილებებს სირიაში, ერაყში, ირანში, ბალკანეთსა და კავკასიაში.

## ეგვიპტემ იერუსალიმის სტატუსზე გაეროში რეზოლუცია შეიტანა

### ისრაელი პოზიციებს არ ცვლის



ეგვიპტემ გაეროში იერუსალიმის სტატუსთან დაკავშირებით რეზოლუცია წარადგინა.

მასში ნათქვამია, რომ ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ზოგიერთი სახელმწიფოს გადაწყვეტილება იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარების თაობაზე.

კონკრეტულად სახელმწიფო დასახელებული არ არის, თუმცა ყველა ხვდება, რომ საუბარია ტრამპის მიერ იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად ცნობაზე.

ისრაელის წარმომადგენელმა დიამეტრულად განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა.

– ამ საკითხზე კენჭისყრებისა თუ დისკუსიების შედეგების მიუხედავად, იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად დარჩება, – განაცხადა გაეროში ისრაელის მუდმივი წარმომადგენელმა დანი დანონმა.

– არანაირი კენჭისყრა არ შეცვლის აშკარა რეალობას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქი იყო და ყოველთვის დარჩება. ისტორიული სამართლიანობისთვის ბრძოლას ჩვენს მოკავშირეებთან ერთად განვაგრძობთ, – დაამატა დანი დანონმა.

## მატისი: „ფხენიანის რაკეტები აშშ-მდე ვერ მოაღწევენ!“

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჯეიმს მატისმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეის რაკეტები აშშ-ის ტერიტორიამდე ვერ მიაღწევენ.

მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ვაშინგტონში ომი არ სურთ, მაგრამ, თუკი ჩრდილოეთ კორეა გონს არ მოეგო, ამერიკა იძულებული გახდება, უკიდურეს სცენარს, ანუ ომს დათანხმდეს.

– თუკი ჩრდილოეთ კორეის მხრიდან ჩვენ ან ჩვენი მოკავშირეების ჯარისკაცების მიმართულებით ერთი გასროლა მაინც მოხდა, ამ ქვეყანას შავი დღე დაადგება! ასე რომ, კიმ ჩენ ინს ვურჩევ, კუნთების თამაშს თავი დაანებოს, მით უმეტეს, რომ ეს კუნთები მას არ გააჩნია! – თქვა მატისმა.

## მაკფოლი ტრამპს აკრიტიკებს

აშშ-ის ყოფილმა ელჩმა რუსეთში მაკფოლმა ტრამპი გააკრიტიკა. მიზეზი აშშ-ის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან სატელეფონო საუბარია.

– ეს ამერიკის ეროვნულ ინტერესებს არ შეესაბამებოდა, – თქვა მაკფოლმა.

ყოფილმა ელჩმა ტრამპს არც ის მოუწონა, რომ მან პუტინს მადლობა გადაუხადა. როგორც ცნობილია, პუტინმა აშშ-ის ეკონომიკურ მდგომარეობას მაღალი შეფასება მისცა.

– პუტინის ქება არაფერში გვესაჭიროება, – განაცხადა ყოფილმა ელჩმა.

## მალაფორტი შინაპატიმრობიდან გაათავისუფლეს

მოსამართლე ემი ჯეკსონმა ტრამპის საარჩევნო შტაბის ყოფილი ხელმძღვანელის მალაფორტის ადვოკატთა თხოვნა დააკმაყოფილა და მალაფორტი შინაპატიმრობიდან გაათავისუფლა.

მიუხედავად ამისა, მალაფორტს ეკრძალება 21 საათის შემდეგ სახლიდან გასვლა. ის მოვალეა, ელექტრობორკილი ატაროს და ა.შ.

მალაფორტს ბრალად ედება აშშ-ის მთავრობის ნებართვის გარეშე რუსეთთან თანამშრომლობა.

## მარინ ლე პენი: „ევროკავშირი უნდა დაიშალოს!“




პრაღაში ევროპის მემარჯვენე პარტიების კონგრესი ჩატარდა. საფრანგეთის ნაციონალური ფრონტის ლიდერმა მარინ ლე პენმა განაცხადა, რომ ევროკავშირს მომავალი არ აქვს და უნდა დაიშალოს.

– ევროკავშირის პოლიტიკა ევროპის ინტერესებს ეწინააღმდეგება! ჩვენ რუსული ბაზრით დაინტერესებულნი ვართ, ევროკავშირი კი რუსეთის მიმართ სანქციებს აგრძელებს, რითაც ევროპის ყველა სახელმწიფოს განუზომელი ზარალი ადგება, – თქვა ლე პენმა.

ფრანგს მხარი გერმანული პოპულისტური ორგანიზაციის „ალტერნატივა გერმანიისათვის“, აგრეთვე ავსტრიული „თავისუფლების პარტიის“ წარმომადგენლებმაც აუბეს. ისინი ამტკიცებენ, რომ ევროკავშირმა რუსეთის მიმართ სანქციები უნდა გააუქმოს, აღიაროს ყირიმი რუსეთის შემადგენელ ნაწილად.

შეკრებილთა აზრით, ევროკავშირის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ასეთ ნაბიჯზე არ წავა, ამიტომ მათ უნდა დაიწყონ კამპანია გერმანიის, საფრანგეთისა თუ სხვა ქვეყნების ევროკავშირიდან გასვლისათვის. ბრექსიტი ევროპის ყველა წამყვან ქვეყანაზე უნდა გავრცელდეს, ანუ საუბარია ევროკავშირის შიგნიდან აფეთქებაზე.

– ეს დროის მოთხოვნაა, – ამბობს მარინ ლე პენი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## პაკისტანის ეკლესიაში თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აიფეთქა

პაკისტანში, ბელუჯისტანის პროვინციის ქალაქ კვეტაში, ეკლესიაზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 2 დაშავდა.

ოთხმა თვითმკვლელმა ტერორისტმა თავდასხმა ლიტურგიის დროს განახორციელა. ერთ-ერთმა მათგანმა თავი ეკლესიაში აიფეთქა.

სამართალდამცველებმა კიდევ ერთი ბოროტმოქმედის ლიკვიდაცია ორმხრივი სროლის შედეგად განახორციელეს, ორი ტერორისტი კი გაიქცა.

თავდასხმის შედეგად დაშავებული ორი პირი კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება.

## მექსიკაში სატვირთო მატარებელი ავტობუსს შეეჯახა

მექსიკის ხალისკოს შტატში სატვირთო მატარებლისა და ავტობუსის შეჯახების შედეგად 2 ადამიანი დაიღუპა და 15 დაშავდა.




ავტობუსში ბავშვთა საფეხბურთო გუნდები იმყოფებოდნენ, რომლებიც შეჯიბრებაზე მიემართებოდნენ.

– ავტობუსში დაახლოებით 60 ადამიანი იყო, მათგან 40 – ბავშვთა საფეხბურთო გუნდების წევრები, – განაცხადა რეგიონის სამაშველო სამსახურის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ხაიმე ალბერტო მორენო კაჩომ.

მისი თქმით, რამდენიმე ადამიანმა თავის სერიოზული ტრავმები მიიღო. მათი მდგომარეობა მძიმეა. დაიღუპა ორი ზრდასრული პირი. არასრულწლოვანთა შორის მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.


# განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით ..

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# დინამოს პირველი მარცხი ქუთაისში შეემთხვა



**ქუთაისი-დინამო 80:79**
**(17:22, 16:21, 19:17, 28:19)**

სუპერლიგაში დაუმარცხებელი გუნდი აღარაა. მიმდინარე ჩემპიონატის ერთადერთმა წაუგებელმა გუნდმა, თბილისის დინამომ ქუთაისში მარცხი იწვნია. ირაკლი ხოშტარიას შეგირდებმა ბოლო წამებზე, 1 ქულით წააგეს.

წინა სეზონის ფინალისტების დაპირისპირება ძალიან დაძაბული და საინტერესო გამოდგა. დინამოელები, რომლებმაც წლეულს ფიბა ევროპის თასზე იასპარეზეს და ევროსარბიელზე სოლიდური გამოცდილება შეიძინეს, მთელი თამაშის მანძილზე უგებდნენ ქუთაისელებს. მასპინძლები არ ტყდებოდნენ და ბოლო წუთებამდე იბრძოლეს. შეხვედრის ბედი უკანასკნელ წუთზე გადაწყდა.

დინამოელები საკმაოდ დამაჯერებლად – 76:71 იგებდნენ, თამაშის დასრულებამდე კი 2 წუთი რჩებოდა. მასპინძლებმა ბექა ბექაურის საჯარიმოსა და აკაკი დვალიშვილის ორქულიანით 2 ქულამდე შეამცირეს ჩამორჩენა, ხოლო გიორგი ბარბაქაძემ სამქულიანიც ჩააგდო და ქუთაისი, დასრულებამდე 30 წამით ადრე, 77:76 დაწინაურდა.

აქ კი დინამოელთათვის სასარგებლო რამ მოხდა: ბექა ბექაური მიხეილ ბერიშვილზე არასპორტულად დაჯარიმდა და დინამოელებმა ჯერ ანგარიში გაათანაბრეს, შემდეგ კი ლაველ ბოიდის ორქულიანით 79:77 დაწინაურდნენ. ქუთაისელთა გადამწყვეტი შეტევა სტუმრებმა ჯარიმით შეაჩერეს, თუმცა დეჟუან რაითმა 2-დან მხოლოდ 1 საჯარიმო ჩააგდო და დინამოელებს ერთქულიანი ლიდერობა შერჩათ. ქუთაისელების ტაქტიკურმა ჯარიმამ გაამართლა: კაელ ტურპინმა ორივე საჯარიმო ააცილა, ბურთი დვალიშვილმა მოხსნა და რაითმა სირენის თანხლებით ქუთაისელთა გამარჯვების ბუთი ჩააგდო – 80:79.

მასპინძლებს 20 ქულითა და 9 მოხსნით აკაკი დვალიშვილმა ულიდერა. 14-14 ქულა მოაგროვეს დეჟუან რაითმა და გიორგი ბარბაქაძემ. დინამოში 27 ქულით გამოირჩა ილია ლონდარიძე, ხოლო ლაველ ბოიდმა შეხვედრა 17 ქულით დაასრულა.

**რუსთავი-ბათუმი 87:71**
**(23:18, 22:18, 22:18, 20:17)**

ბრძოლა არ შედგა – ქვემოქართლელებმა საკმაოდ იოლად დაამარცხეს აჭარელები და ლიდერთა შორის ადგილი დაიმკვიდრეს.

რამაზ გოგობერიშვილის გაწვრთნილმა რუსთაველებმა უპირატესობა თავიდანვე მოიპოვეს და ისე საზრიანად ირჯებოდნენ, რომ თამაშის განმავლობაში მეტოქე ახლოს არ გაიკარეს. პირველი პერიოდის შემდეგ ქვემოქართლელები 5 ქულით იგებდნენ, ხოლო დიდი შესვენებისთვის უპირატესობა 9 ქულამდე გაზარდეს.

შესვენების შემდეგ ვითარება არ შეცვლილა. მასპინძელთა უპირატესობამ 20 ქულას მიაღწია და ცხადი გახდა, რომ ბათუმელები თამაშის შემობრუნებას ვეღარ მოახერხებდნენ. საბოლოოდ რუსთავმა 87:71 გაიმარჯვა და სადღეისო მონაცემებით, 7 მოგებითა და 3 მარცხით, მე-2 ადგილზე გადაინაცვლა. გამარჯვებულებს 26 ქულით ადამ ბლეიზეკმა ულიდერა. 18 ქულა მოაგროვა ტაირელ ნელსონმა, ხოლო ჯეკ კრუკის ანგარიშზე 14 ქულა დაგროვდა. ბათუმში 22 ქულით სპენსერ კოლინსი გამოირჩა. 13 ქულა ლეონიდ სტეპანიშინის ანგარიშზე დაგროვდა.

**სოხუმი-ოლიმპი 50:87**
**(9:18, 17:20, 10:23, 14:26)**

ერთმანეთს ცხრილის შუაში მყოფი ოლიმპი და ერთ-ერთი აუტსაიდერი სოხუმი შეხვდნენ. ფავორიტად ოლიმპი იყო იყო მიჩნეული და ლეონიდ ივატინის გუნდმა ეს სტატუსი გაამართლა. ოლიმპელებმა თითოეული პერიოდი დამაჯერებლად მოიგეს და საბოლოოდ 37-ქულიანი სხვაობით – 87:50 იმარჯვეს.

როგორც გამოჩნდა, სოხუმს სერიოზული პრობლემები აქვს. გუნდმა ახალი ლეგიონერი – ლიტველი ვიტაუტას კამარუნასი შეიმატა, თუმცა ამ ტრანსფერს ეფექტი ჯერ არ მოუტანია. სოხუმელებმა პირველი პერიოდი 9:18 წააგეს, მაგრამ ვითარების გამოსწორება დარჩენილ დროში ვერ მოახერხეს. ოლიმპი ყველა კომპონენტში მოწოდების სიმაღლეზე იდგა და რაც დრო გადიოდა, უპირატესობას იმტკიცებდა.

ოლიმპელებმა გუნდურად ითამაშეს. 16 ქულით ბომბარდირი გახდა გეგი ბაქრაძე. 14-14 ქულა მიითვალეს მერაბ ბოქოლიშვილმა და მორის ჰილმა. 13 ქულა და 9 მოხსნა მარკ ოგდენის ანგარიშზე დაგროვდა. სოხუმელთაგან ბომბარდირმა ლევან რევაზაშვილმა 10 ქულა დააგროვა. 9 ქულა მისმა ძმამ, მაიზერ რევაზაშვილმა მიითვალა.

**კაკტუსი-მარნეული 91:76**
**(29:22, 20:19, 27:19, 15:16)**

კაკტუსმა ერთ-ერთ აუტსაიდერ მარნეულს უმასპინძლა და დამაჯერებლად დაამარცხა. ქვემოქართლურ გუნდს მიმდინარე ჩემპიონატში მხოლოდ ერთი გამარჯვება ჰქონდა მოპოვებილი და ისიც კაკტუსთან, თუმცა ამჯერად მარნეულელებს რამდენიმე მოთამაშე აკლდათ და წარმატების მიზერული შანსი გააჩნდათ.

ტრავმების გამო ქვემოქართლელებმა არტიომ შვეცი, ჯიმ ბონდუმელი, იოსებ ლეჟავა და დეანდრე რეი მოისაკლისეს. ისედაც ბოლოსწინა ადგილზე მყოფი გუნდისთვის 4 წამყვანი მოთამაშის არყოლა გვარიანი დანაკლისი გახლდათ. კაკტუსმა, რომელიც 2 ამერიკელი ლეგიონერის (ბრიჯმენი, მიჩელი) დამატების შემდეგ საკმაოდ გაძლიერდა, შანსი ხელიდან არ გაუშვა და მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ქვემოქართლური გუნდი კი ეცადა, მაგრამ მხოლოდ ის მოახერხა, რომ დიდი სხვაობით არ წააგო.

კაკტუსის კალათბურთელებმა გუნდურად ითამაშეს. 6 მოთამაშე 10-ქულიან ზღვარს ასცდა, რომელთაგან 17 ქულით ბომბარდირი ტერიკ ბრიჯმენი გახდა. 16 ქულა ჯონ მიჩელმა დააგროვა, ხოლო 14-14 – დეანდრე პარკსმა და დავით ლომიძემ. მარნეულში 15 ქულა ნიკოლად ნილმა მიითვალა, ლევან ელიაძემ კი მატჩში ერთადერთი ორმაგი დუბლი – 14 ქულა და 14 მოხსნა მოაგროვა.

# ბართომეუ გრიზმანის ოჯახს შეხვდა



ბარსელონას დიდი სურვილი აქვს, მადრიდის ატლეტიკოს თავდამსხმელი ანტუან გრიზმანი იანვარშივე გადაიბიროს და მის ტრანსფერზე მუშაობას აგრძელებს.

ესპანური მედიის ცნობით, კატალონიური კლუბის პრეზიდენტი ხოსეპ ბართომეუ პირადად შეხვდა ფეხბურთელის ოჯახის წევრებს. გავრცელებული ცნობით, შეხვედრა ბარსელონის ერთ-ერთ რესტორანში შედგა. ფეხბურთელის მხრიდან იმყოფებოდნენ მისი მშობლები და ასევე და, რომელიც ანტუანის აგენტის როლსაც ასრულებს.

ბოლო დროს გავრცელდა ჭორები, რომ ფეხბურთელი და ბარსელონა უკვე შეთანხმდნენ სამომავლო თანამშრომლობაზე. სატრანსფერო ღირებულებამ 100 მილიონი ევრო უნდა შეადგინოს, რაც დედაქალაქური კლუბისთვის, თუ, რა თქმა უნდა, ასე მოხდა, სარეკორდო შეთანხმება იქნება.

ახლა სიტყვა ატლეტიკოზეა...

# შავდათუაშვილის ვერცხლი და მარგველაშვილის ბრინჯაო მასტერსზე



რუსეთის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში მიმდინარე მასტერსზე, მამაკაცთა შორის მედლების 3 კომპლექტი გათამაშდა და მათგან 2-ში ქართველებმა მედალი აიღეს.

თუმცა, ისიც სათქმელია, რომ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები კი საქმეში 2 სპორტსმენით ჩაერთო – ლაშა შავდათუაშვილმა (73 კგ) ვერცხლი ირგუნა, ხოლო ვაჟა მარგველაშვილი (66 კგ) კი მესამე საპრიზო ადგილს დასჯერდა.

ოლიმპიურმა (2012) და ევროპის (2013) ჩემპიონმა შავდათუაშვილმა ფინალის გზაზე 3 მეტოქე ჩამოიშორა და სამივე იპონით. ევროპის 2008 წლის ჩემპიონს, ბელგიელ დირკ ვან ტიჩელტს წუთსა და 25 წამში მოუმთავრა საქმე, მონღოლ მსოფლიოს პრიზიორ ოდბაიარ განბაატარს – 2 წუთსა და 51 წამში, ხოლო უზბეკ გიოსჟონ ბობოევს – 2 წუთსა და 59 წამში.

ფინალში შავდათუაშვილი მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონსა და რეიტინგის ლიდერს – იაპონელ სოიჩი ჰაშიმოტოს დაუპირისპირდა, ვაზარით დამარცხდა და ვერცხლის მედალთან ერთად, 1.260 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავა. სავარაუდოდ, შავდათუაშვილი 2017 წლის სეზონს მოწინავე ხუთეულში დახურავს.

ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა ვაჟა მარგველაშვილმა მასტერსი ანზაურ არდანოვის ვაზარით ძლევით გახსნა. მოლდოველ დენის ვიერუს „ოქროს დროში" მოპოვებული შიდოს უპირატესობით აჯობა. უმაღლესი სინჯის მედლისთვის ბრძოლის შანსი კი ნახევარფინალში დაკარგა – ყაზახ იელდოს ჟუმაკანოვთან 11 წამში წააგო.

რეპეშაჟის ფინალში ქართველი ძიუდოისტი რუსეთის ნაკრების კიდევ ერთ წევრს – მსოფლიოს ჩემპიონატების 3-გზის ფინალისტ მიხაილ პულიაევს დაეჭიდა და ვაზარით მოუგო. მესამე საპრიზო ადგილის დაკავებით მარგველაშვილმა პირად რეიტინგს 900 ქულა შემატა.

რუსულ ტატამზე 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ძიუდოისტებიც გავიდნენ. საქართველოს სახელით მასტერსზე ამირან პაპინაშვილს უნდა ეჭიდავა, რომელიც მსოფლიოს რეიტინგში მესამე ადგილზეა, მაგრამ პაპინაშვილმა სეზონის ბოლო საერთაშორისო ტურნირი ნაკრების მწვრთნელებთან შეთანხმებით გამოტოვა. უმსუბუქეს წონაში პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე იაპონელი რიუჯუ ნაგაიამა ავიდა.

# რეალმა ისტორია დაწერა – ზედიზედ მეორე მსოფლიოს ჩემპიონია

**რეალი-გრემიო 1:0**
**აბუ დაბი. სპორტ სიტი**
1:0 რონალდუ (53)

**რეალი:** ნავასი, კარვახალი, რამოსი, ვარანი, მარსელო, კაზემირო, კროოსი, მოდრიჩი, ისკო (ვასკესი 76), ბენზემა (ბეილი 80), რონალდუ

**გრემიო:** გროე, ედილსონი, ჟერომელი,კანემანი, კორტესი, მიშელი (მაიკონი 85), რამირო (ევერტონი 71), ჟაილსონი, ვიეირა, ფერნანდინიო, ბარიოსი (ჟაელი 63)

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ფინალში სენსაცია არ მოხდა. მადრიდის რეალმა ბრაზილიური გრემიო დაამარცხა და ზედიზედ მეორე გახდა ამ პრესტიჟული ტურნირის გამარჯვებული. ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ერთმა კლუბმა გადაბმულად მოიგო მსოფლიოში უძლიერესი კლუბის ტიტული.

რეალს არ გასჭირვებია და ძალდატანების გარეშე გახდა გამარჯვებული. ზინედინ ზიდანის გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში დომინირებდა მოედანზე და ანგარიშში უფრო დიდი სხვაობა რომ არ დაფიქსირდა, მომენტების რეალიზაციის ბრალია. მსგავსი რამ რეალს ნახევარფინალშიც ჰქონდა ალ ჯაზირასთან. თუმცა, იმ მატჩისგან განსხვავებით რეალი გრემიოსთან უფრო გამართული თამაშობდა დაცვაში და მეტოქეს არანაირი შანსი არ მისცეს.

მატჩის ბედი კი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა, რომელიც მეორე ტაიმის დასაწყისში კრიშტიანუ რონალდუმ ჯარიმით გაიტანა და რეალმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი სიძლიერე – სამეფო კლუბი ბოლო 4 წელიწადში მესამედ გახდა ამ ჯილდოს მფლობელი.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **კრიშტიანუ რონალდუ**

მშვენიერი მატჩი ჩაატარა პორტუგალიელმა ფეხბურთელმა. 90 წუთის მანძილზე დიდი წნეხის ქვეშ ჰყავდა მეტოქის დაცვა და ხშირად ემუქრებოდა კარს. რამდენჯერმე დაარტყა, აქედან ერთი გოლად აქცია, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა.

**ზინედინ ზიდანი:**

– ჩვენ დაძაბულობის გარეშე, ძალიან კარგად ვითამაშეთ. ეს კი, ძალიან ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ გავაკეთეთ და ძალიან ბედნიერი ვარ. რონალდუ? რეალი მისი სახლია და იმედი მაქვს, რომ იგი კარიერის ბოლომდე აქ დარჩება. ჩვენი გულშემატკივრებისთვის ახლა ძალიან კარგი პერიოდია. არ ვიცი, არის თუ არა ეს ოქროს ხანა, თუმცა ჩვენ რაღაც მნიშვნელოვანს მივაღწიეთ. პირველ რიგში, ამ წარმატებას ვულოცავ ფეხბურთელებს, რადგან, რასაც ისინი აკეთებენ, მარტივი არაა.

# შედეგები

**16 დეკემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლესტერი-კრ.პალასი ........ 0:3
არსენალი-ნიუკასლი ........ 1:0
ბრაიტონი-ბარნლი ........ 0:0
ჩელსი-საუთჰემპტონი ........ 1:0
უოტფორდი-ჰადერსფილდი ........ 1:4
სტოკი-ვესტ ჰემი ........ 0:3
სიტი-ტოტენჰემი ........ 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 18 | 17 | 1 | 0 | 56-12 | 52 |
| 2.მანჩესტერი | 17 | 12 | 2 | 3 | 37-11 | 38 |
| 3.ჩელსი | 18 | 12 | 2 | 4 | 32-14 | 38 |
| 4.არსენალი | 18 | 10 | 3 | 5 | 31-20 | 33 |
| 5.ბარნლი | 18 | 9 | 5 | 4 | 16-12 | 32 |
| 6.ლივერპული | 17 | 8 | 7 | 2 | 34-20 | 31 |
| 7.ტოტენჰემი | 18 | 9 | 4 | 5 | 31-18 | 31 |
| 8.ლესტერი | 18 | 7 | 5 | 6 | 27-26 | 26 |
| 9.უოტფორდი | 18 | 6 | 4 | 8 | 27-33 | 22 |
| 10.ევერტონი | 17 | 6 | 4 | 7 | 21-29 | 22 |
| 11.ჰადერსფილდი | 18 | 6 | 3 | 9 | 16-30 | 21 |
| 12.საუთჰემპტონი | 18 | 4 | 6 | 8 | 17-24 | 18 |
| 13.ბრაიტონი | 18 | 4 | 6 | 8 | 14-23 | 18 |
| 14.კრ.პალასი | 18 | 4 | 5 | 9 | 15-28 | 17 |
| 15.ვესტ ჰემი | 18 | 4 | 5 | 9 | 17-32 | 17 |
| 16.ბორნმუთი | 17 | 4 | 4 | 9 | 15-20 | 16 |
| 17.სტოკი | 18 | 4 | 4 | 10 | 19-39 | 16 |
| 18.ნიუკასლი | 18 | 4 | 3 | 11 | 16-27 | 15 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 17 | 2 | 8 | 7 | 12-22 | 14 |
| 20.სუონსი | 17 | 3 | 3 | 11 | 9-22 | 12 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბირმინგემი-ქპრ ........ 1:2
ბოლტონი-ბარტონი ........ 0:1
ბრენტფორდი-ბარნსლი ........ 0:0
ბრისტოლი-ბირმინგემი ........ 2:1
დერბი-ასტონ ვილა ........ 2:0
იფსვიჩი-რედინგი ........ 2:0
ლიდსი-ნორვიჩი ........ 1:0
მილუოლი-მიდლსბრო ........ 2:1
პრესტონი-შეფილდი ........ 1:0
სანდერლენდი-ფულემი ........ 1:0
კარდიფი-ჰალი ........ 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბილბაო-სოსიედადი ........ 0:0
ეიბარი-ვალენსია ........ 2:1
ატლეტიკო-ალავესი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 15 | 12 | 3 | 0 | 38-7 | 39 |
| 2.ატლეტიკო | 16 | 10 | 6 | 0 | 25-7 | 36 |
| 3.ვალენსია | 16 | 10 | 4 | 2 | 36-16 | 34 |
| 4.რეალი | 15 | 9 | 4 | 2 | 30-11 | 31 |
| 5.სევილია | 16 | 9 | 2 | 5 | 19-19 | 29 |
| 6.ვილიარეალი | 15 | 6 | 3 | 6 | 22-20 | 21 |
| 7.ეიბარი | 16 | 6 | 3 | 7 | 18-28 | 21 |
| 8.ხეტაფე | 15 | 5 | 5 | 5 | 20-15 | 20 |
| 9.სოსიედადი | 16 | 5 | 5 | 6 | 28-28 | 20 |
| 10.ლეგანესი | 15 | 6 | 2 | 7 | 12-14 | 20 |
| 11.ხირონა | 15 | 5 | 5 | 5 | 19-22 | 20 |
| 12.სელტა | 15 | 5 | 3 | 7 | 27-23 | 18 |
| 13.ბილბაო | 16 | 4 | 6 | 6 | 16-19 | 18 |
| 14.ბეტისი | 15 | 5 | 3 | 7 | 23-29 | 18 |
| 15.ლევანტე | 16 | 3 | 8 | 5 | 15-22 | 17 |
| 16.ესპანიოლი | 15 | 4 | 4 | 7 | 11-19 | 16 |
| 17.დეპორტივო | 15 | 4 | 3 | 8 | 18-27 | 15 |
| 18.ალავესი | 16 | 4 | 0 | 12 | 12-25 | 12 |
| 19.მალაგა | 15 | 3 | 2 | 10 | 13-28 | 11 |
| 20.ლას პალმასი | 15 | 3 | 1 | 11 | 11-34 | 10 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ოსასუნა-ნუმანსია ........ 2:2
ვალიადოლიდი-ლორკა ........ 3:0
რეუსი-გრანადა ........ 0:0
ალმერია-კორდობა ........ 1:0
ალბასეტე-სარაგოსა ........ 0:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

კიოლნი-ვოლფსბურგი ........ 1:0
ვერდერი-მაინცი ........ 2:2
აინტრახტი-შალკე ........ 2:2
აუგსბურგი-ფრაიბურგი ........ 3:3
შტუტგარტი-ბაიერნი ........ 0:1
დორტმუნდი-ჰოფენჰაიმი ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 17 | 13 | 2 | 2 | 37-11 | 41 |
| 2.შალკე | 17 | 8 | 6 | 3 | 28-21 | 30 |
| 3.დორტმუნდი | 17 | 8 | 4 | 5 | 39-24 | 28 |
| 4.ლაიპციგი | 16 | 8 | 4 | 4 | 25-22 | 28 |
| 5.გლადბახი | 17 | 8 | 4 | 5 | 27-28 | 28 |
| 6.ლევერკუზენი | 16 | 7 | 6 | 3 | 30-19 | 27 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 17 | 7 | 5 | 5 | 27-22 | 26 |
| 8.აინტრახტი | 17 | 7 | 5 | 5 | 20-18 | 26 |
| 9.აუგსბურგი | 17 | 6 | 6 | 5 | 27-23 | 24 |
| 10.ჰანოვერი | 16 | 6 | 4 | 6 | 20-22 | 22 |
| 11.ჰერტა | 16 | 5 | 6 | 5 | 23-23 | 21 |
| 12.ვოლფსბურგი | 17 | 3 | 10 | 4 | 21-21 | 19 |
| 13.ფრაიბურგი | 17 | 4 | 7 | 6 | 17-31 | 19 |
| 14.შტუტგარტი | 17 | 5 | 2 | 10 | 13-21 | 17 |
| 15.მაინცი | 17 | 4 | 5 | 8 | 19-28 | 17 |
| 16.ვერდერი | 17 | 3 | 6 | 8 | 13-20 | 15 |
| 17.ჰამბურგი | 17 | 4 | 3 | 10 | 15-25 | 15 |
| 18.კიოლნი | 17 | 1 | 3 | 13 | 10-32 | 6 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კაიზერი-ნიურნბერგი ........ 1:1
აუე-ჰაიდენჰაიმი ........ 1:1
რეგენსბურგი-არმინია ........ 3:2

**იტალია. სერია ა**

ინტერი-უდინეზე ........ 1:3
ტორინო-ნაპოლი ........ 1:3
რომა-კალიარი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 17 | 13 | 3 | 1 | 38-11 | 42 |
| 2.ინტერი | 17 | 12 | 4 | 1 | 34-13 | 40 |
| 3.იუვენტუსი | 16 | 12 | 2 | 2 | 41-14 | 38 |
| 4.რომა | 16 | 12 | 2 | 2 | 28-10 | 38 |
| 5.ლაციო | 15 | 10 | 2 | 3 | 36-19 | 32 |
| 6.სამპდორია | 15 | 8 | 3 | 4 | 30-22 | 27 |
| 7.მილანი | 16 | 7 | 3 | 6 | 23-21 | 24 |
| 8.ატალანტა | 16 | 6 | 5 | 5 | 23-20 | 23 |
| 9.ტორინო | 17 | 5 | 8 | 4 | 23-25 | 23 |
| 10.ფიორენტინა | 16 | 6 | 4 | 6 | 26-19 | 22 |
| 11.უდინეზე | 16 | 7 | 0 | 9 | 26-25 | 21 |
| 12.ბოლონია | 16 | 6 | 3 | 7 | 19-20 | 21 |
| 13.კიევო | 16 | 5 | 6 | 5 | 17-26 | 21 |
| 14.კალიარი | 17 | 5 | 2 | 10 | 16-28 | 17 |
| 15.სასუოლო | 16 | 4 | 2 | 10 | 10-28 | 14 |
| 16.ჯენოა | 16 | 3 | 4 | 9 | 14-22 | 13 |
| 17.კროტონე | 16 | 3 | 3 | 10 | 12-32 | 12 |
| 18.სპალი | 16 | 2 | 5 | 9 | 15-28 | 11 |
| 19.ვერონა | 16 | 2 | 4 | 10 | 14-32 | 10 |
| 20.ბენევენტო | 16 | 0 | 1 | 15 | 8-38 | 1 |

**იტალია. სერია ბ**

აველიო-ასკოლი ........ 1:1
ვირტუსი-სალერნიტანა ........ 0:2
კარპი-ფროზინონე ........ 1:1
კრემონეზე-ემპოლი ........ 1:1
პალერმო-ტერნანა ........ 1:0
პარმა-ჩეზენა ........ 0:0
პერუჯა-ბარი ........ 1:3
პრო ვერჩელი-სპეცია ........ 0:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

რენი-პსჟ ........ 1:4
დიჟონი-ლილი ........ 3:0
კაენი-გენგამი ........ 0:0
მონპელიე-მეცი ........ 1:3
სტრასბური-ტულუზა ........ 2:1
ტრუა-ამიენი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 18 | 15 | 2 | 1 | 55-14 | 47 |
| 2.მონაკო | 18 | 12 | 2 | 4 | 44-18 | 38 |
| 3.ლიონი | 17 | 10 | 5 | 2 | 42-19 | 35 |
| 4.მარსელი | 17 | 10 | 5 | 2 | 35-19 | 35 |
| 5.ნანტი | 17 | 8 | 3 | 6 | 16-18 | 27 |
| 6.რენი | 18 | 7 | 4 | 7 | 23-24 | 25 |
| 7.სტრასბური | 18 | 6 | 6 | 6 | 24-28 | 24 |
| 8.დიჟონი | 18 | 7 | 3 | 8 | 27-31 | 24 |
| 9.კაენი | 18 | 7 | 3 | 8 | 11-18 | 24 |
| 10.მონპელიე | 18 | 5 | 8 | 5 | 15-13 | 23 |
| 11.გენგამი | 18 | 6 | 5 | 7 | 19-23 | 23 |
| 12.ნიცა | 17 | 7 | 2 | 8 | 22-28 | 23 |
| 13.ამიენი | 18 | 6 | 3 | 9 | 16-20 | 21 |
| 14.ტრუა | 18 | 6 | 3 | 9 | 19-24 | 21 |
| 15.ბორდო | 17 | 5 | 5 | 7 | 22-26 | 20 |
| 16.სტ.ეტიენი | 18 | 5 | 5 | 8 | 17-31 | 20 |
| 17.ტულუზა | 18 | 5 | 4 | 9 | 17-25 | 19 |
| 18.ლილი | 18 | 5 | 3 | 10 | 16-29 | 18 |
| 19.ანჟე | 17 | 2 | 9 | 6 | 19-27 | 15 |
| 20.მეცი | 18 | 2 | 2 | 14 | 10-34 | 8 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

რეიმსი-ვალანსიენი ........ 5:1

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ტილბურგი-ზვოლე ........ 2:3
ჰერენვენი-ბრედა ........ 1:0
პსვ-დენ ჰააგი ........ 3:0
როდა-ვენლო ........ 0:1
ტვენტე-ვიტესი ........ 1:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ეშტორილი-ავეში ........ 3:2
ბრაგა-ბელენენსეში ........ 4:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სტ.გალენი-სიონი ........ 3:2
თუნი-ლუგანო ........ 0:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-ჰიბერნიანი ........ 4:1
ჰამილტონი-როსი ........ 3:2
კილმარნოკი-მოზერველი ........ 1:0
რეინჯერსი-სტ.ჯონსონი ........ 1:3
დანდი-პარტიკი ........ 3:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-ლინცერი ........ 0:0
ადმირა-ალტახი ........ 3:1
მატერსბურგი-ვოლფსბერგერი ........ 5:1
სტ.პოლენი-რაპიდი ........ 0:5

**ბელგია. ა დივიზიონი**

სტანდარდი-გენტი ........ 0:0
კორტრაიკი-მეხელენი ........ 2:0
ეუპენი-სტ.ტრუიდენი ........ 0:0
ლოკერენი-ბევერენი ........ 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

კერკირა-ატრომიტოსი ........ 1:3
აეკი-აპოლონი ........ 0:0
პლატანიასი-პაოკი ........ 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

გენჩლერი-ქაშიმფაშა ........ 0:0
ალანია-სივასი ........ 1:1
ტრაბზონი-ბურსა ........ 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პოგონი-არკა ........ 1:0
სანდეცია-ლეხია ........ 2:2
ლეგია-პლოცკი ........ 0:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ბათუმი კონტინენტის ფარის პლეი ოფში გავიდა

**ბათუმი-ტიმიშოარა 20:17**



ბათუმმა ევროპული რაგბის „კონტინენტის ფარის“ ჯგუფური ეტაპის დასკვნით ტურში რუმინეთის ჩემპიონი ტიმიშოარა-სარასენსი 20:17 დაამარცხა და პლეი ოფში გავიდა.

ბათუმში ტრიბუნებზე ანშლაგი იყო, რამაც მოთამაშეებს ის საჭირო მუხტი შესძინა, რაც იტალიაში ორჯერ დააკლდა და ბათუმმა „კონტინენტის ფარის“ მოგების ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი დამსახურებულად დაამარცხა.

მატჩი სტუმრების იერიშებით დაიწყო. ისინი სწრაფად შლიდნენ ბურთს, რის ხარჯზეც უპირატესობის მოპოვებას ახერხებდნენ და რამდენჯერმე ხიფათი შექმნეს, რის შედეგადაც მე-7 წუთზე ლელო-გარდასახვით დაწინაურდნენ.

მასპინძლებმა მეტოქის თამაშს ალღო მალე აუღეს და ტაიმის შუაში ბახვა კობახიძემ ჯარიმა გაიტანა, ხოლო დასკვნითი 10 წუთი ბათუმმა თითქმის სრულად მეტოქის 22-ში გაატარა. შედეგად, ლელოში ბექა ურჯუკაშვილი შეიჭრა და ლელოც დადო, მაგრამ რეფერიმ ეს ვერ დააფიქსირა და რადგან ვიდეო-რეფერიც არ იყო, ნაღდი ლელო გაუქმდა.

სამართალმა პური მოგვიანებით ჭამა. 5-მეტრა შერკინების შემდეგ ლელოში გიორგი თხილაიშვილს ბურთში ჩაუსხდნენ, მაგრამ მეორე ჯერზე ხვიჩა ბუჯიაშვილისა და სანდრო ქოიავას მიძალებები 5 ქულით ბექა მამრიკიშვილმა დაასრულა, რომელმაც მბოჭავი ოსტატურად ჩამოიცილა. კობახიძე გარდასახვიდან ზუსტი იყო – 10:7.

მეორე ტაიმის დებიუტშივე ბათუმი დაცვაში უხეშად შეცდა, მოკლე ფრთა დაუცველი დარჩა და ალამთან ლელო მიიღო, რომელიც მეტოქემ ვერ გარდასახა – 10:12.

მალევე ურჯუკაშვილმა წითელ ზოლში თამაში ერთხელაც გაამწვავა და ზურაბ თუთბერიძემ ხაზს იქით სივრცე მონახა, მაგრამ რეფერიმ ლელო კვლავ ვერ დააფიქსირა. 5-მეტრა შერკინების შემდეგ ბუჯიაშვილმა თუთბერიძეს ბურთი გამოუგდო, მანაც მცველების არასწორი განლაგება შენიშნა და თავისი წილი ლელო მაინც მიითვალა.

კობახიძემ ზუსტი გარდასახვის შემდეგ შერკინების მიერ გამომუშავებული ჯარიმაც გამოიყენა და უპირატესობა 8 ქულამდე გაიზარდა. რუმინელებს 3 წუთში კარის წინიდან შეეძლოთ 3 ქულის აღება, მაგრამ დარტყმა ძელმა აისხლიტა. მერე ჯარიმა ბათუმსაც გაუცუდდა, თუმცა დრო გადიოდა და ტიმიშოარა-სარასენსის მიერ ბოლო წამებზე გატანილმა ლელომ ბათუმს ჯგუფური ეტაპის დაძლევაში ხელი ვერ შეუშალა – 20:17.

აღსანიშნავია, რომ ა ჯგუფიდან პლეი ოფში გასულმა ტიმიშოარა-სარასენსმა და ჰაიდელბერგმა ჯგუფურ ეტაპზე თითო-თითო შეხვედრა დათმეს და ორივე შემთხვევაში მათ ბათუმმა სძლია.

პლეი ოფშიც ქართულ-რუმინული საკლუბო დაპირისპირება გაგრძელდება და ჩვენი მეტოქე კვლავ რუმინეთის ჩემპიონი იქნება, რადგან კალვიზანომ როვიგოს ბონუსით, 34:0 სძლია, ბათუმს სატურნირო ქულებით გაუტოლდა და უკეთესი გატანილ-გაშვებული ქულათა სხვაობით ცხრილში პირველ ადგილზე აღზევდა. შესაბამისად, საქართველოს ვიცეჩემპიონმა მე-2 ადგილი დაიკავა, ხოლო ტიმიშოარა-სარასენსი მდევრებისთვის მიუწვდომელი დარჩა.

პლეი ოფის მატჩები 2018 წლის იანვარში გაიმართება და პირველ შეხვედრაში, 13 იანვარს ბათუმი მასპინძელია, ხოლო ერთი კვირის თავზე რუმინეთს ეწვევა და ორი თამაშის ჯამში გამარჯვებული „კონტინენტის ფარის“ ნახევარფინალში გავა, სადაც მისი მეტოქე იტალიის ჩემპიონ კალვიზანოსა და ჰაიდელბერგის წყვილს შორის გამარჯვებული იქნება.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## პერუელმა ქალებმა ხეზე იქორწინეს



პერუს დედაქალაქ ლიმაში რამდენიმე ქალმა თავი მოიყარა პარკში, რათა იქ ხეებთან სიმბოლურად ექორწინათ.

პატარძლებმა ფიცი დადეს, რომ ისინი თავიანთ მწვანე მეუღლეებს მანამდე მოუვლიან, სანამ ერთმანეთისაგან სიკვდილი არ დააშორებთ. ეკოლოგიური ორგანიზაციის „მწვანე გულების“ ლიდერმა რიჩარდ ტორესმა, რომელიც საქორწინო ცერემონიაზე ღვთისმსახურის მოვალეობას ასრულებდა, ქორწინებები შემდგარად გამოაცხადა და მეუღლეებს კოცნის უფლება მისცა. ამის შემდეგ დამსწრეებმა ახლადდაქორწინებულებს ყვავილების ფურცლები დააყარეს.

ტორესის ჩანაფიქრით, ეს ცერემონია პერუს მცხოვრებლებს შეახსენებს, რომ ხეები მნიშვნელოვანი არსებები არიან და მათაც სჭირდებათ მოვლა და პატრონობა. ის ანალოგიური ღონისძიებების გამართვას სხვა ქვეყნებშიც გეგმავს და იმედი აქვს, რომ ამით ათასობით ხეს გადაარჩენს.

## ამერიკელი ფერმერი ჯუჯა ძროხების მოშენებითაა დაკავებული



ამერიკის აიოვას შტატის მცხოვრებმა ფერმერმა ჯუჯა ძროხების მოშენებას მიჰყო ხელი, რომელთა სახლში შინაური ცხოველებივით ყოლაა შესაძლებელი.

46 წლის ფერმერი დასტინ პილარდი მრავალი წელია მინიატურული ძროხების გამოყვანაზე მუშაობს. სელექციის დახმარებით მან მოახერხა, ძროხების ზომა ორჯერ შეემცირებინა. ცხოველების სიმაღლე, რომელთა მოშენებითაცაა ფერმერი დაკავებული, 80 სანტიმეტრს არ აღემატება. მისი მტკიცებით, ამის მიუხედავად, მისი ძროხები სრულიად ჯანმრთელები არიან.

– მრავალი მათგანი ისეთივე ინდივიდუალურობით გამოირჩევა, როგორც გამოირჩევიან ძაღლები, – განაცხადა ფერმერმა, – მათ უყვართ გამასპინძლება და სეირნობა. ძაღლებივით დარბიან თქვენს გარშემო, ადამიანებთან კარგი ურთიერთობა აქვთ, მშვიდები და ალერსიანები არიან. ასევე მათ ძალიან მოსწონთ ყურადღების ცენტრში ყოფნა. ძნელია, არ შეგიყვარდეთ ეს ჯუჯა ძროხები.

ფერმერი მინიატურულ ძროხებს შინაური ცხოველების მოყვარულებზე ყიდის, რომლებიც მათ ძაღლებივით და კატებივით სახლში იყოლიებენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ავსტრალიელი მოსწავლე საავადმყოფოს საჭმელმა იმსხვერპლა

ავსტრალიის ვიქტორიას შტატის კორონერების სასამართლო 13 წლის ლუის ტეიტის დაღუპვის საქმეს განიხილავს, რომელიც საავადმყოფოში სადილობის შემდეგ გარდაიცვალა.



ტეიტი დაბადებიდანვე ალერგიული იყო ძროხის რძეზე, კაკალსა და კვერცხზე. 2015 წლის ოქტომბერში ის საავადმყოფოში ასთმის მწვავე შეტევის გამო იქნა მოთავსებული და მეორე დღესვე გარდაიცვალა. ის ანაფილაქსიური შოკის შედეგად მას შემდეგ გარდაიცვალა, როდესაც სადილი გასინჯა. ექიმები მოზარდის გადარჩენას შეეცადნენ, მაგრამ ადრენალინის ინექციებმა მას ვერ უშველა.

სასამართლოზე მედდამ ირენ ფიშერმა, რომელიც იმ დღეს სადილზე იყო პასუხისმგებელი, აღნიშნა, რომ მის ხელთ არსებული პაციენტების სიაში ტეიტის ალერგიულობა მითითებული არ ყოფილა. თუმცა მისი ალერგიულობის თაობაზე მას ზეპირად აცნობა მეორე მედდამ და მან ბიჭს მისცა ის, რასაც დედამისი ითხოვდა: მთელმარცვლოვანი მიუსლი სოიოს რძესთან ერთად.

მედდის თქმით, მან იმავე დღეს სოიოს რძე კიდევ ერთ პაციენტს მისცა, თუმცა კონკრეტულად რომელს, არ ახსოვს. ტეიტის მშობლები საავადმყოფოს თანამშრომლებს ადანაშაულებენ იმაში, რომ მათ სადილი ექსპერტიზისთვის არ შეინახეს, რაზეც ისინი აცხადებენ, რომ არ ეგონათ, რომ ბიჭის გადარჩენას ვერ შეძლებდნენ.

მოზარდის დაღუპვის შემდეგ საავადმყოფოში ალერგიის ელექტრონული სიები შემოიღეს. ტეიტის მამამ განაცხადა, რომ იმედი აქვს, რომ გამოძიება არა მხოლოდ იმაზე გასცემს პასუხს, თუ როგორ მოხდა ეს ყოველივე, ასევე შეისწავლის კვებითი უსაფრთხოების მდგომარეობას და საავადმყოფოს თანამშრომლების მოქმედებას ანაფილაქსიური შოკის შემთხვევის დროს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პორნოვარსკვლავის ბოიფრენდმა ოჯახური ბედნიერების საიდუმლო გაამხილა



მყარი ურთიერთობისთვის აუცილებელია პირველ რიგში პარტნიორის პირადულ თვისებებს მიექცეს ყურადღება და არ უნდა იყო ეჭვიანი. ამის თაობაზე ისაუბრა მაიკ ადკინსმა, ცნობილი პორნომსახიობის ელი ჰეიზის ბოიფრენდმა.

– მე მას უბრალოდ ვუყურებ, როგორც პიროვნებას, რა თქმა უნდა, მას უფრო მეტი პარტნიორი ჰყავდა, ვიდრე მე მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე. მე არ მაღელვებს ის, რომ მას სხვა მამაკაცებთან სძინავს. ეს რომ მის სამსახურში არ ხდებოდეს, მაშინ სულ სხვა საქმე იქნებოდა, – განაცხადა პორნომსახიობის ბოიფრენდმა.

მისი თქმით, რომანტიკული ურთიერთობის დაწყებამდე მან იცოდა, თუ როგორი სამსახური ჰქონდა მის შეყვარებულს, მაგრამ როდესაც გაიგო, სულაც არ შეუშფოთებია ამ ამბავს. ჰეიზის საქმიანობის მიმართ სრულიად ნორმალური დამოკიდებულება აქვს ბოიფრენდის დედასაც.

ელი ჰეიზი 350-ზე მეტ პორნოგრაფიულ ფილმშია გადაღებული. ის რამდენჯერმე პორნომსახიობებისთვის განკუთვნილი პრემიის ლაურეატი გახდა.

## ამერიკელი ჩანჩქერიდან დაღუპული მეგობრის პატივსაცემად გადმოხტა



ამერიკელმა მამაკაცმა დიდი კანიონის ჩანჩქერიდან ნახტომი ამავე ადგილზე ერთი წლის წინ დაღუპული მეგობრის ხსოვნის პატივსაცემად შეასრულა.

მამაკაცი დიდ კანიონში ჩანჩქერ ჰავასუს თავზე ავიდა. ამისთვის მას დაახლოებით ძნელად გასასვლელ ადგილებში 16 კილომეტრის გავლა მოუხდა. მან ხელი დაუქნია მეგობრებს, რომლებიც იქ მასთან ერთად მივიდნენ, დაღუპული მეგობრის სახელი დაიძახა, რის შემდეგაც 30 მეტრის სიმაღლიდან გადახტა.

ნახტომის დროს მამაკაცმა ჰაერში ორი ბრუნი შეასრულა, შემდეგ კი წყალში ჩაეშვა. ამოყვინთვის შემდეგ კი მან სიხარულის ყიჟინა დასცა, მის ყიჟინას მეგობრები ყვირილითა და ტაშისცემით შეუერთდნენ.

## ბრიტანელმა იარაღების მოყვარულმა თავი არბალეტით მოიკლა



ბრიტანეთის დევონის საგრაფოს ქალაქ პლიმუთში აღმოაჩინეს 37 წლის მარტინ ბონდის ცხედარი, რომელსაც თავში არბალეტის ისარი ჰქონდა.

მამაკაცის გაუჩინარების თაობაზე პოლიციას მისმა მეუღლემ აცნობა. აღსანიშნავია, რომ მეუღლეებს ერთმანეთთან საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ.

მამაკაცი აღმოაჩინეს ბინაში, რომელშიც ის ცხოვრობდა. პოლიციის დასკვნის თანახმად, მან თავი მოიკლა. ბინაში ჩართული იყო მუსიკა, რომელიც მან თვითმკვლელობამდე განმეორებაზე ჩართო. გვერდით ეწყო მისი ცოლისა და გოგონას ფოტოსურათები, ასევე რამდენიმე გარდაცვალებამდე დაწერილი წერილი.

ბონდი ისტორიითა და ძველი იარაღებით იყო გატაცებული. არბალეტის გარდა, მის კოლექციაში რამდენიმე ძველი იარაღიც ინახებოდა.

## სკანვორდი



1. ბერძნული ანბანის ასო; 2. ზრდილობიანი მიმართვა იაპონიაში; 3. ალგორითმული ენა; 4. ქალიშვილი (ინგლისურად); 5. ტყის მსხალი; 6. „სომეხი ვარ, ... მქვია, დაკვრავ და ვეძებ ვირსა"; 7. სტადიონი ბრაზილიაში; 8. ალოე ძველქართულად; 9. ძველებური საზომი ლირიკული ლექსი; 10. ბუნებრივი წყალსაცავი; 11. ... იოსელიანი; 12. ცხენის კუდის ბეწვი; 13. ქალბატონი (გერმანულად); 14. შეძახილი ცეკვისას; 15. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 16. მეფე ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“; 17. ღამის ფრინველი; 18. ფაიფურის ან თიხის ჩასაბერი საკრავი; 19. მისისიპის შენაკადი; 20. სოფელი ადიგენის რაიონში; 21. კაცობრიობის მიერ განვლილი გზა; 22. ... პაჩინო; 23. ღია მრუდი (მათემატიკაში); 24. კახი კავსაძის კინოროლი; 25. ფერწერა საყოფაცხოვრებო თემაზე; 26. საჩხვლეტი იარაღი ფარიკაობაში; 27. საზღვაო ბრძოლის ძველებური ხერხი; 28. ტყის სამკურნალო მცენარე; 29. საბერძნეთი; 30. ძველებური პატრუქიანი თოფი; 31. იტალიური „ნიღბების კომედიის“ გაქნილი პერსონაჟი; 32. სითხის საქაჩი მოწყობილობა; 33. იუპიტერის თანამგზავრი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი**

**შვეულად**: 1. გლისადა; 2. დვალი; 3. იუკატანი; 4. პუდელი; 5. მთავარი; 6. ვისკოზა; 11. კიქსი; 13. პრომეთე; 14. პარანგონი; 15. კონტრალტო; 17. ელიავა; 18. „მირაჟი“; 19. მოლა.

**თარაზულად**: 7. ალიევი; 8. „მუჯურეთული“; 9. ასკილი; 10. ხაბელოვი; 12. შამპინიონი; 14. პლისკა; 16. აერობუსი; 18. მარიჯანი; 20. კრონა; 21. არა; 22. პანთეონი; 23. ხულო; 24. ბატალიონი.

## ასტროპროგნოზი 18 დეკემბერი



**ვერძი** – მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გიუმჯობესდებათ. ადრე დადებული საქმიანი გარიგებები საკმაოდ დიდ მოგებას მოგიტანთ. **კურო** – ნუ აჩქარდებით. აუცილებელი არ არის, ყველაფერი დღესვე მოასწროთ. აქტიურობასა და ფიზიკურ დატვირთვას ვარსკვლავები არ გირჩევენ. **ტყუპები** – გსურთ, ცხოვრებაში ცვლილებები შეიტანოთ, ოღონდ არ აჩქარდეთ. მოსალოდნელია ძველი, დავიწყებული კავშირების აღდგენა. **კირჩხიბი** – დაძაბული პერიოდი გეწყებათ. საქმიანი კონტაქტები წარმატებით დამთავრდება, თუმცა საამისოდ დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. **ლომი** – ბედი გწყალობთ. გამახვილებული ინტუიციის მეშვეობით სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ. გარისკვა რეკომენდებულია. **ქალწული** – გრძელვადიანი გეგმებისთვის შეუფერებელი პერიოდია. ჯანმრთელობას სერიოზულად მიხედეთ. **სასწორი** – საკუთარი მოვალეობები დიდი პასუხისმგებლობით შეასრულეთ. კონფლიქტის თავიდან აცილება მხოლოდ მშვიდი და გულითადი საუბრის შედეგად მოხერხდება. **ღრიანკალი** – პრობლემების მოგვარებაში ახალი ნაცნობები დაგეხმარებიან. ზედმეტი მიამიტობა და მიმნდობი ბუნება დღეს ზიანს მოგიტანთ. **მშვილდოსანი** – შანსს ნუ გაუშვებთ, პირადი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოთ. იაქტიურეთ. **თხის რქა** – უფროსობასთან საკუთარი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. ცდუნებას ნუ აჰყვებით. **მერწყული** – იყავით მიზანდასახული და აქტიური. ეს დღე სირთულეებთან არის დაკავშირებული. **თევზები** – თქვენი მომხიბვლელობა ზენიტშია. დღეს შეგიძლიათ, თამამად განახორციელოთ ახალი იდეები.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# რეზო გიგინეიშვილის „მძევლები" ტელურიდის კინოფესტივალზე აჩვენეს

რეჟისორ რეზო გიგინეიშვილის ფილმი „მძევლები" ტელურიდის საერთაშორისო კინოფესტივალზე აჩვენეს.



ფილმი მსოფლიოს სხვადასხვა კინოფესტივალზე სულ უფრო დიდი მოწონებით სარგებლობს.

„მძევლები" „თვითმფრინავის ბიჭების" ისტორიაზეა შექმნილი. ფილმი საქართველოში მკაცრად გააკრიტიკეს, თუმცა მსოფლიოს სხვადასხვა კინოფესტივალზე რეჟისორის ნამუშევარმა მოწონება და ჯილდოებიც დაიმსახურა.

ფილმი ერთ-ერთმა პოპულარულმა ამერიკულმა არხმაც კი შეიძინა.

„მძევლების" ჩვენება ტელურიდის კინოფესტივალზე წარმატებით შედგა. ამავე კინოფესტივალზე საკუთარი პირველი ნამუშევარი ჰოლივუდის ვარსკვლავმა ანჯელინა ჯოლიმაც წარადგინა.

საზეიმო მიღებაზე ანჯელინა პირადად შეხვდა რეჟისორ რეზო გიგინეიშვილს. შეხვედრის დამადასტურებელი ერთობლივი ფოტო ქართველმა რეჟისორმა სოციალურ ქსელში გაავრცელა:

– მისასალმებელ საღამოზე. ის საოცრებაა, – ასე დაასათაურა ფოტო რეზო გიგინეიშვილმა.

ქართველი რეჟისორი ამავე ფესტივალზე გარი ოლდმენსაც შეხვდა. მან ირაკლი კვირიკაძესთან და ოლდმენთან ერთად გადაღებული ფოტოც ფეისბუქზე ატვირთა.

# ელისო ბოლქვაძემ კუვეიტში დაუკრა



იუნესკოს მშვიდობის არტისტმა, მსოფლიოში ცნობილმა ქართველმა მევიოლინე ელისო ბოლქვაძემ კუვეიტში დაუკრა.

მუსიკოსი მსმენელის წინაშე საქართველოსა და კუვეიტს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 25 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს საელჩოსა და კუვეიტის ხელოვნების, კულტურისა და ლიტერატურის ეროვნული საბჭოს მიერ გამართულ ერთობლივ ღონისძიებაზე წარდგა.

ელისო ბოლქვაძემ თავისი ვირტუოზული შესრულებით კუვეიტელი მსმენელი აღაფრთოვანა. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს ელჩი როლანდ ბერიძე. კუვეიტის მხრიდან ღონისძიებას ესწრებოდნენ ზემოხსენებული უწყების გენერალური მდივანი ალი ჰუსეინ ალ იოჰა, გენერალური მდივნის მოადგილე ბადერ ალ დუვეიში, კუვეიტში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი, ქართული დიასპორისა და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ელისო ბოლქვაძე კუვეიტში კონცერტს მართავს. კუვეიტის მხარემ ელისო ბოლქვაძე კუვეიტში ხელმეორედ მიიწვია.

# სამგლოვიარო განცხადებები

## ირმა ჩოფიკაშვილის გახსენება



გავიდა სევდით სავსე წელიწადი... ირმა, აკლიხარ შენს ქალ-ვაჟს, ახლობლებს, კოლეგებს. შენი ხატება მარად იცოცხლებს შენს შვილებში, თითოეულ ჩვენგანში, მაგრამ მაინც, რაოდენ მადლიერები ვართ იმ მხატვრების, რომელთა მუზა იყავი და შენი სილამაზე, სინატიფე, კდემამოსილება ტილოზე გადაიტანეს. ამ ნახატებით გაგიცნობენ, შეგიყვარებენ და იამაყებენ შენი შთამომავალნი, რომლებიც შენი და შენი ღირსეული მეუღლის გენს გააგრძელებენ.

არა მხოლოდ გარეგნობით, წარმომავლობითაც გამორჩეული იყავი. ატარებდი დიდებულ წინაპართა გვარს, რომლებიც საქართველოს კარიბჭეს ვაჟკაცურად იცავდნენ. უთუოდ მათგან გადმოიღვარა შენს სულში ერისა და ქვეყნის სიყვარული, ასე რომ ასხივოსნებდა შენს ცხოვრებას.

ათეული წლები იმუშავე ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციაში წერილების განყოფილების გამგედ არაჩვეულებრივ კოლექტივთან, ცნობილ, წარმატებულ ჟურნალისტებთან ერთად. შენს კოლეგებთან ერთად ჟურნალის ფურცლებზე ამკვიდრებდი ჰუმანიზმს, პატრიოტიზმს, ზნეობას, მარადიული ღირებულებებისადმი ერთგულებას. შენი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, კოლეგებთან ერთად მუდამ იცავდი ქალთა უფლებებს, აქტიურად თანამშრომლობდი ქალთა საბჭოსთან.

შენი მდიდარი გამოცდილებისა და ინტელექტის შედეგია ის შესანიშნავი „სამზარეულო წიგნი", რომელიც ჩვენს საზოგადოებას შესთავაზე. ეს წიგნიც ხომ ქართული ტრადიციების სიყვარულითა და ერთგულებით იყო ნაკარნახევი.

ვინ იცის, რამდენი ჟურნალისტური იდეა დაგრჩა ხორცშეუსხმელი...

ლოცვაში გიხსენიებთ, შევთხოვთ უფალს, სასუფეველში ამყოფოს შენი სპეტაკი სული, იქ დაივანოს ღმერთის რჩეულთა შორის. ასეც იქნება.

შენ ხომ უფლის ათი მცნებით იცხოვრე.

*ლინა ბარათაშვილი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# ოთარ კობერიძე 93 წლის გახდებოდა



ქართული კინოს ვარსკვლავი ოთარ კობერიძე 93 წლის გახდებოდა.

მსახიობი, რომელმაც მთელი ცხოვრება საყვარელ საქმეს შესწირა, 90 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ოთარ კობერიძისა და ლია ელიავას წყვილი ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი წყვილი იყო საქართველოში.

ბარბარობის დღესასწაულზე დაბადებული ოთარ კობერიძე ყოველთვის დიდი სიამოვნებით იხსენებდა იმ მომენტს, როდესაც ფილმ „ბაში აჩუკის" გადაღებების დროს პირველად შეხვდა ლია ელიავას და მისმა სილამაზემ დაატყვევა.

თავის დაბადების დღეს კი ოთარ კობერიძე ასე იხსენებდა:

– ბარბარობის დღეს ვარ დაბადებული. რწმენა და სიყვარული მუდამ თან მდევდა. ბებია მუხრანბატონის ქალი იყო. პირველად 5 წლის წამიყვანა ეკლესიაში და მასწავლა ლოცვა, პირჯვრის გადაწერა. კომუნისტები ჩემთვის არაფერს ნიშნავდნენ...

ჩემს ცხოვრებაში ერთი საოცარი რამ მოხდა. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვარ და ბუქარესტში ვიდექით, ბრძოლის შემდეგ ორი დღე დაგვასვენეს. მოლდაველი ბიჭი იყო ჩემს ოცეულში. მან ქალაქის ერთ ეგზოტიკურ კუთხეში, ბოშების უბანში წამიყვანა. დარბოდნენ ბოშა გოგოები, ბიჭები. გაგვლლიტეს! შემდეგ ამ ბიჭმა მითხრა, აქ ერთი მარჩიელი ცხოვრობსო და მასთან შევედით. მითხრა: გაუფრთხილდი იმ ადგილს, სადაც მამაშენი დაიღუპა და დიდხანს იცხოვრებო. გამოვედი გაოცებული.

გავიდა ხანი, თითქმის ოცი წელი. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი. 1964 წელს ბათუმში ვიყავით გადაღებაზე. წვიმიანი ამინდია და სასტუმროში ვზივარ. ჩემი ლია თბილისშია წამოსული. ქვემოდან მესმის ხმა, დოდო აბაშიძეს ეძახიან. დოდოც თბილისში იყო წასული. მთხოვა, რუსი მეგობარი ჩამოვა და იქნებ მიხედოო. ჩავედი, ვისაუზმეთ. მერე გარეთ გამოვედით და მანქანაში ჩავსხედით თუ არა, წამოვიდა წვიმა. ჩავუარეთ მწვანე კონცხის რესტორანს. უცებ მოსახვევიდან შემხვედრი მანქანა გამოხტა და მკვეთრად მომანათა სინათლე. დავიბენი, საჭე გამექცა და ხეს დავეჯახე. გონება დავკარგე.

ყველას დაღუპული ვეგონე. ჩამიყვანეს მორგში. ჩემს ბედზე, იცვლებოდა ექიმი. ახალმა მოსულმა ჩამოიარა და შენიშნა, რომ რაღაც მიფეთქავდა. საოპერაციო არაფერი მქონდა, უბრალოდ, მკერდი მქონდა დაზიანებული. მოვარდა მამაჩემის მეგობარი. მამა 1927 წელს დამეღუპა, მწვანე კონცხთან დაიხრჩო. წყლიდან ცოცხალი ამოუყვანიათ, მაგრამ ველარაფერი უშველიათ. როგორც მამას მეგობარმა მითხრა, თურმე ავარია იმ ადგილიდან 50 მეტრში შემემთხვა, სადაც მამა დაიღუპა. საოცრებაა!

მას შემდეგ ნათლად დავინახე ჩემი ცხოვრების გზა.

# ეკა ჩხეიძეს საპატრულოში მუშაობის დაწყება სურს



მარჯანიშვილის თეატრის მსახიობ ეკა ჩხეიძეს საპატრულო პოლიციაში მუშაობის დაწყება სურს. თხოვნით მსახიობი თბილისის მერ კახი კალაძეს მიმართავს:

– ბატონო მერო!

ყოველდღიურად რომ იკლებს მანქანის დასაყენებელი ადგილები ქალაქში და ალტერნატიულ პარკინგებსაც არ სთავაზობთ მძღოლებს, სწორი გათვლაა – მეტი თანხა შედის ბიუჯეტში, თქვენ ამ პრობლემას არავინ მოგაგვარებინებთ, მესმის...

მაგრამ ერთი თხოვნა მაქვს: იქნებ ერთი თავისუფალი ვაკანსია ჩემთვისაც გამოინახოს საპატრულოში, ყოველ ახალ ჯარიმაზე ბონუსები მატულობს თურმე და მეც მჭირდება ფული რააა... თანაც ძალიან!

# მაიკო კაჭკაჭიშვილმა ფეხი მოიტეხა



კომპოზიტორმა მაიკო კაჭკაჭიშვილმა ფეხი მოიტეხა. მას რესტორან „თავადურის" კიბეზე ფეხი დაუსხლტა და ექიმების დახმარება დასჭირდა.

კომპოზიტორს ფეხი თაბაშირში აქვს და ყავარჯნებით გადაადგილდება. მოტეხილი ფეხის ფოტო მაიკომ სოციალურ ქსელში გაავრცელა:

– მოსწავლეებისა და კიდევ ბევრის საყურადღებოდ ვდებ. სათითაოდ ვერ გირეკავთ. ცუდად ვარ, ფეხი მოვიტეხე და გარკვეული ხანი უუნარო ვიქნები... ყველაზე მეტად მე არ მინდოდა ეს. მაპატიეთ.

# „ჩვენ ვარსკვლავები ვართ" ლუკა გოგიბერიძემ დატოვა



მუსიკალური შოუ „ჩვენ ვარსკვლავები ვართ" კიდევ ერთმა კონკურსანტმა დატოვა. ამჯერად ლუკა გოგიბერიძეს არ გაუმართლა და პროექტს მიღმა აღმოჩნდა.

მერვე ლაივკონცერტზე შოუში კონკურსანტებმა სოლონომრებთან ერთად დუეტშიც იმღერეს. მონაწილეებს ოთო ნემსაძესთან, მარიკო ლეჟავასთან, ნინა სუბლატთან და ლუკა ზაქარიაძესთან ერთად მოუწიათ მსოფლიო ჰიტების შესრულება.

შოუს დასრულების შემდეგ სულ 36.184 ხმა დაფიქსირდა. ყველაზე მეტი ხმა მიიღო და ლიდერი გახდა მანანიკო ცენტერაძე.

მაყურებლის გადაწყვეტილებით კი პროექტი ლუკა გოგიბერიძემ დატოვა.

მომავალ საკონკურსო დღეს ფინალში მოსახვედრად ლიზა კალანდაძე, გიგი ცირამუა და მანანიკო ცენტერაძე იბრძოლებენ.

# გუჯა ბურდულს საფეთქელზე 4 ნაკერი დაადეს



მსახიობ გუჯა ბურდულს საფეთქელზე 4 ნაკერი დაადეს.

როგორც მისმა შვილმა მაკა ბურდულმა განაცხადა, მსახიობმა სახიდან შემთხვევით ხალი მოიგლიჯა:

– ხალი მოიგლიჯა სახიდან შემთხვევით.

მადლობა ყველას მხარდაჭერისათვის. მელანომა არ აღმოჩნდა ხალის ფესვის ანალიზში, საფეთქელზე მხოლოდ 4 ნაკერი დასჭირდა. ისე მაგარი კი დავპანიკდი, აგაფორიაქეთ თქვენც, უკაცრავად!

# ნინი ონიანი ლალი მოროშკინას წინააღმდეგ



მოდელი და მსახიობი ნინი ონიანი ტელეწამყვან ლალი მოროშკინას უპირისპირდება და მას ქალთმოძულეს უწოდებს:

– „პრაიმშოუს" რაღაც ნაწყვეტს გადავაწყდი ფეისბუქზე, რომელიც ეხებოდა ქალებზე ძალადობას... ქალბატონი ლალი მოროშკინა... ქალთმოძულის შთაბეჭდილება დამიტოვა! პირადად არ ვიცნობ, მაგრამ, პრინციპში, გასაგებია უკვე და ძალიან სამწუხარო ფაქტია ის, რომ ზუსტად ქალები ამართლებენ მოძალადე კაცებს და არ იცავენ მსხვერპლ ქალბატონებს... გულისამრევია ეს ყველაფერი და სამარცხვინო ქართული რეალობა!

# თაკო გაჩეჩილაძე: „რატომ ვერ ინელებს დღემდე ხალხი, რომ ევროვიზიაზე წავედი?"



კითხულობს მომღერალი თაკო გაჩეჩილაძე და ამით ძალიან გაკვირვებულია:

– რატომ ვერ ინელებს დღემდე ეს ხალხი, ყველას არ ეხება, რა თქმა უნდა, რომ ევროვიზიაზე წავედი? თუ ჩემ მაგივრად თქვენ იყავით ჟიურის ფავორიტები და „ახალი სიტყვის მთქმელი მსოფლიო შოუბიზნესში," გაგემარჯვათ, ბატონო და წაბრძანებულიყავით.

არ დაიწყოთ ახლა, თაკომ ჩააწყო და გადააწყო. ეს თქვენი გულის გასამხნევებელი ილუზიები თქვენთვის შეინახეთ. მე მომავალ წელსაც და ყოველ წელს წარმატებებს გისურვებთ, რომ იქნებ გაიმარჯვოთ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# პროგრამა

შაბათი
18 დეკემბერი

**შესაძლებელია ცვლილებები**

**არხის ბადეში.** 07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია. "მოგზაური დორა" 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "მოამბე" 09.15 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00, 04.05 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.15"სპორტის დაფა" 12.40"კვირის ინტერვიუ" - ირაკლი აბსანძე 13.25 ტ/სერ. "**სახელმწიფო მდივანი**" 14.30 დოკ/ფ "ავტოდახმარება" 16.00 დოკ/ფ "არქიტექტურა" 16.30, 06.00 ტ/სერ. "**ველვეტი**" 18.30 დოკ/ფ "გონების თამაშები" 20.00, 05.00 ტ/სერ. "**ელემენტარული**" 21.30 "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 22.15 ტ/სერ. "**სახელმწიფო მდივანი**" 23.15 დოკ/ფ "თოფ-გიარი" 00.15, 02.25 მხ/ფ

06.30, 16.00 სერ. "**ტყუილი**" 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, ქრონიკა 10.10, 14.40 სერ. "**ელიფი**" 11.20 სერ. "**ფიცი**" 12.30 იმედის დღე 17.35 სერ. "**ქალაქის გული**" 18.50, 19.03 სერ. "**დარჩი ჩემთან**" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "**დედა**" 22.00 ნიჭიერი 00.30 მხ/ფ "**თვალები ცაში**" 02.25 მხ/ფ "**მექანიკოსი 2**" 04.15 მხ/ფ "**კარგი ტყუილი**"

06.00, 18.50 სერ. "**მეორე შანსი**" 07.00, 20.03 სერ. "**დედამთილი**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ფერიპას საიდუმლო**" 15.30 სერ. "**მზიანი დღეები**" 16.55 სერ. "**მორჩილების სავანე**" 18.50 სერ. "**მეორე შანსი**" 20.03 სერ. "**დედამთილი**" 22.00 ჩემი სამზარეულოს წესები 23.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 00.00, 01.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი 02.00 მხ/ფ

**tv პირველი** 7.55 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00 ქალების ნარატივი 12.00 სერ. "**რამონზე შეყვარებული**" 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება - NEWS 13.40 უცხოეთის ამბები 14.00, 16.00 დღის ამბები 15.00, 22.30 საქმის კურსი 17.50, 0.00, 2.00, მხ/ფ 20.00 ხალხის პოლიტიკა 23.00 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 23.30 სერ. "**დამალული სიმართლე**"

08.00 ან/ფ "ავატარი" 08.30 ან/ფ "ავატარი 2" 09.00, 19.00 სერ. "**ცისფერი სისხლი 7**" 11.00 მხ/ფ "**მწვანე ბარათი**" 13.00 სერ. "**კრიმინალური აზროვნება 4**" 17.00 სერ. "**სამხედროების ცოლები 6**" 21.00 სერ. "**ლურჯის ელფერი 2**" 22.00 მხ/ფ "**მღვდელი**" 23.30 მხ/ფ "**ილაის წიგნი**" 01.20 მხ/ფ "**სხვას გადაუხადე**" 03.15 მხ/ფ "**ჩემი პირადი აიდაჰო**" 04.45 მხ/ფ "**გახსოვდეს კვირადღე**" 06.25 მხ/ფ "**მწვანე ბარათი**"

**იბერია** 08.00 ანანდა 08.10 მულტფილმი 08.30 სერ. "**ბანდოლერა**" 10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40, ახალი ამბები 12.00, 2.00 ბიზნესკოდი 14.30 ექიმის საათი 15.00, 01.30 მოდი გავეყაროთ 16.00, 2.40 ფაბრიკა 18.30 სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" 19.55 მე რომ ვიყო 20.00, 3.40 თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " 21.00 სერ. " **პირადი საქმე**" 22.00 სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" 23.00 პანორამა 00.00 მხ/ფ " **შურისძიების სახელით**"

06.15 ღვთის სახლი 06.35 პატრიკი-მკვდრეთით აღმდგარის შესახებ 06.45 ქართული ალბომი 07.20 ჩვენი საგანძური 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 საგალობელი 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.25 საკვირაო სახარების განმარტება 10.35 დ/ფ "ველური ბუნება-მიწის მგელი" 11.10 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**აკაკის აკვანი**" 13.30 ან/ფ "მძინარე მზეთუნახავი" 15.05 ქართული ან/ფ 15.25 სპექტაკლი "**გზაჯვარედინზე**" 17.15 კლასიკა 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტება 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.20 ჩვენი საგანძური 19.40 კარაბადინი "პედიატრია" 20.05 მოკ. მხ/ფ "**უსახელო უფლისციხელი**" 20.40 ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.20 როგორ ყალიბდებოდა აფხაზეთის ისტორია I ნაწ. 21.30 საეკლესიო აღმშენებლობა 22.15 ჩვენი ფონდი "ყინწვისის წმინდა ნიკოლოზის სახ. ტაძრის მოხატულობის შესახებ" 22.40 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები "იერემია" III ნაწ. 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.45 წმინდანები "წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზი" 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.30 საუბარი სტუდიაში 01.30 კონცერტი

**მაესტრო** 10.00 - 23.00 მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) 10.30 - 3.00 ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

18 დეკემბრისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.5405 | ევრო — 2.9980 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4073 | 100 რუსული რუბლი — 4.3152 |

## ამინდის პროგნოზი 18 დეკემბრისთვის







## 14 დეკემბრიდან

რომან გვენცაძის

# საბედისწერო გასროლა

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 15 დეკემბრიდან

# რჩეული ქართული ზღაპრები




**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

## იუმორი

გოგონა შედის აფთიაქში და გამყიდველს ეკითხება:

– გაყიდვაში ძალიან დიდი ზომის პრეზერვატივები თუ გაქვთ?

– რა თქმა უნდა! ყიდვა გინდათ?

– არა, და წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, აქ მის მყიდველს თუ დაველოდები?

●●●

ბავშვი დედას ეუბნება:

– დედიკო, ნაყინისთვის ფულს თუ არ მომცემ, როგორც კი ავტობუსში ავალთ, ბებიას დაგიძახებ!

●●●

ავტოსადგომთან პოლიციელი ჩაივლის, გაჩერებულ ავტომობილს შენიშნავს, მიუახლოვდება და ხედავს, მანქანაში ბიჭი და გოგო სხედან. ბიჭი ჟურნალს ათვალიერებს, გოგო რაღაცას ქსოვს. გაკვირვებული პოლიციელი ბიჭს ეკითხება:

– რას აკეთებთ?

– რა, ვერ ხედავ? ჟურნალს ვათვალიერებ.

– და გოგონა?

– წინდებს ქსოვს.

– რამდენი წლის ხარ?

– ოცის.

– და გოგონა რამდენი წლისაა?

ბიჭმა საათს შეხედა და უპასუხა:

– თხუთმეტ წუთში თვრამეტის გახდება.

●●●

სახლში ერთი ბავშვი ბანდიტია, ორი – ორგანიზებული დაჯგუფება, პაპა და ბებია – ყოვლისშემძლე მფარველები, კატა – პარტიზანი დივერსანტი, მამა – პოლიტიკური ლიდერი, ხოლო დედა ჯერ გარკვეული არ არის, დამსჯელი ორგანოა თუ უწესრიგობის მსხვერპლი!

●●●

პაპა შვილიშვილს ეუბნება:

– გინდა, ზღაპარს მოგიყვები?

– არა, ყველა შენი ზღაპარი ხვრინვით მთავრდება.

●●●

ყრუ-მუნჯი მეგობარს ჟესტების ენაზე ეუბნება:

– გუშინ სახლში დავბრუნდი თუ არა, ცოლმა ყვირილით ამიკლო.

– და შენ რით უპასუხე?

– სინათლე ჩავაქრე!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ადრიანა ლიმა აღარ გაიხდის



ბრაზილიელმა სუპერმოდელმა ადრიანა ლიმამ განაცხადა, რომ ის ნებისმიერი მიზეზით აღარ გაშიშვლდება. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

ვიქტორის სიქრეთსის ანგელოზმა ინფორმაცია ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა, რომელშიც განაცხადა, რომ გადახედა საკუთარ დამოკიდებულებას იმის მიმართ, თუ როგორ წარმოჩინდება ქალის სხეული მასობრივ კულტურაში და აღნიშნა, რომ მას მობეზრდა ის, რომ ქალებს აიძულებენ, გარკვეული სახით წარდგნენ საზოგადოების წინაშე.

ამის მიზეზი გახდა შეთავაზება მოდელისთვის, მონაწილეობა მიეღო „სექსუალური ვიდეოს" გადაღებაში. ადრიანა ლიმამ განაცხადა, რომ გადაწყვიტა, სერიოზული მიზეზის გარეშე აღარ გაიხადოს.

## ქალმა ერთ დღეში ორჯერ მოიგო ლატარიაში




ამერიკის მისურის შტატის მცხოვრებმა ვერონიკა ბიუკენენმა ერთ დღეში ორჯერ მოიგო ლატარიაში.

პირველმა ლატარიის ბილეთმა მას ათასი დოლარის მოგება მოუტანა. მოგების მისაღებად, ის ქალაქ სენტ-ლუისში ჩავიდა, სადაც ლატარიის გათამაშების მომწყობი ორგანიზაციის ოფისი მდებარეობს.

უკანა გზაზე ქალი მაღაზიაში შევიდა, სადაც შეიძინა ბედნიერი ბილეთი და კიდევ ერთი იყიდა. დამცავი ფენის გადაფხეკის შემდეგ მან აღმოაჩინა, რომ ამჯერად მისმა მოგებამ 100 ათასი დოლარი შეადგინა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


